



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
ფინანსები და საბანკო საქმე

ანდი გედენიძე
მოგების გადასახადის რეფორმა და რეინვესტირების სტიმულები
კომპანიებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ. გ.ხელაია

თბილისი 2019

ანოტაცია

მოგების გადასახადის რეფორმა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სახელმწიფოს წინაშე მდგარი ისეთი პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა, როგორებიცაა უმუშევრობა და წარმოების დაბალი დონე, ასევე აქტუალურია ბიზნეს სექტორისთვის, რადგანაც მათთვის მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის შემცირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი მეტად აქტუალურ საკითხს მოიცავს და მისი სიღრმისეული კვლევის შედეგი ფასეული იქნება. მოგების გადასახადის გავლენის კვლევა კომპანიების მიერ რეინვესტირების მაჩვენებლებზე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი გავლენა სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებზე და შევიშუშაოთ გარკვეული რეკომენდაციები მოგების გადასახადის შემდგომი დახვეწისა და მისი ეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებებით.

ნაშრომში განხილულია საგადასახადო სისტემის არსი და მნიშვნელობა ზოგადად და კონკრეტულად საქართველოსთვის; გაანალიზებულია რეფორმის არსი და მისი ანალოგი ესტონური მოდელი, რომელსაც ეყრდნობა რეფორმა; შეფასებულია რეფორმის შედეგები, განსაკუთრებით კომპანიების მიერ რეინვესტირების მაჩვენებლებზე; ერთმანეთსაა შედარებული საქართველოსა და ესტონეთის სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რის შედეგადაც სხვადასხვა დაშვება და დასკვნაა გაკეთებული. ამასთან გაანალიზებულია თუ რა გავლენა მოახდინა ორი წლის განმავლობაში რეფორმამ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

Corporate income (profit) tax and stimulator factors for reinvesting in company

Andi Gedenidze.

Anotation

Profit tax reform can be considered as one of the ways to solve the problems state face, such as unemployment and low level of production. It is also relevant for the business sector as the reduced taxation is important factor for their decision-making

The income tax impact on companies through incentivize investments through tax breaks on reinvested profit to the extent that it allows us to evaluate the advantages and disadvantages of the reform, its impact on companies of different size and working in the field. We develop some recommendations for further improvement of the profit taxation to improve its effectiveness

The present paper refers to profit tax reform, which has inured from January 2017 and analyses its impact on business sector and on the one hand on macroeconomic indicators as well.

In this paper it is discussed the essence and importance of tax system in general and concrete for Georgia; is analysed the essence of the reform and its analogue the Estonian model, that the reform is based on; are estimated prospective reform results, especially on companies re-investment indicators; are compared different macroeconomic indicators of Georgia and Estonia, based on the results there are different assumptions and the conclusion made. There is also analysed the result of the taxation reform on the macroeconomic indicators. In addition to this there was conducted the survey of financial sector to get their opinion on the results of the reform.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი პირველი. საგადასახადო სისტემის თეორიული ასპექტები	8
1.1 საგადასახადო სისტემა საქართველოში და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში	8
1.2. საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები	18
თავი მეორე. მოგების გადასახადის რეფორმის არსი და მიზნები საქართველოში	23
2.1. მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ არსი	23
2.2. ბიზნესის მახასიათებლები და ინსტიტუციური მოწყობა - შედარება	34
თავი მესამე. მოგების გადასახადის ესტონური მოდელის გავლენის შეფასება (RIA)	51
3.1 მოგების გადასახადის რეფორმის ანალიზი.....	51
3.2 მოგების გადასახადის რეფორმის შედეგები.....	60
3.3 კვლევის ტექნიკური ანალიზი	67
3.4. კვლევის შედეგების ანალიზი	68
დასკვნები და წინადადებები	75
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	80

შესავალი

აქტუალურობა. 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ესტონური მოდელი, რომლის მიხედვით, კომპანიებს აღარ დაეკისრებათ მოგების გადასახადის გადახდა მოგების იმ ნაწილზე, რომელსაც არ გაანაწილებენ და გამოიყენებენ კომპანიაში რეინვესტირებისთვის. რეფორმა ე.წ. „ესტონური მოდელის“ მსგავსია, რომელიც ესტონეთში განხორციელდა 2000 წელს და ბევრი ექსპერტის აზრით, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

გადასახადების შემცირების გზით ეკონომიკის სტიმულირება საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკაა, რომელსაც ბევრი ქვეყანა მიმართავს. ასეთი პოლიტიკის მომხრეებს არგუმენტად ხშირად მოყავთ ის, რომ დაბალი გადასახადები ასტიმულირებს წარმოებას და ხელს უწყობს ბიზნესის გაფართოებასა და დასაქმების ზრდას. შედეგად, იზრდება დასაბეგრი ბაზა, რაც გრძელვადიან პერიოდში განაპირობებს სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდას. რა თქმა უნდა, საგადასახადო შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად მხოლოდ აღნიშნული პოლიტიკის გატარება არაა საკმარისი და საჭიროა ისეთი ხელშემწყობი ფაქტორების არსებობა, როგორებიცაა ქვეყანაში არსებული სტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი და ა.შ.

რეფორმა განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნეს სექტორისთვის, რადგანაც მათთვის მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის შემცირება. აღნიშნული რეფორმის შედეგად, გაიზრდება მათი ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე.

ბიზნეს სექტორის აზრით რეფორმის შედეგად შემცირებული საგადასახადო ტვირთი საშუალებას მისცემს გააფართოვოს ან ტექნოლოგიურად დახვეწოს საქმიანობა მასში რეინვესტირების გაზრდის გზით და ასევე, შეამციროს დამოკიდებულება გარე წყაროებიდან მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე.

რეფორმა მნიშვნელოვანი გამოწვევაა სახელმწიფოსთვისაც, რადგან მას მოკლევადიან პერიოდში მოჰყვა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შემცირება და სახელმწიფოს მოუწევს მისი კომპენსირება ან საბიუჯეტო ხარჯების შემცირება.

მოგების გადასახადის რეფორმა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სახელმწიფოს წინაშე მდგარი ისეთი პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა, როგორებიცაა უმუშევრობა და წარმოების დაბალი დონე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი მეტად აქტუალურ საკითხს მოიცავს და მისი სიღრმისეული კვლევის შედეგი ფასეული იქნება. მოგების გადასახადის გავლენის კვლევა კომპანიების მიერ რეინვესტირების მაჩვენებლებზე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი გავლენა სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებზე და შევიშუშოთ გარკვეული რეკომენდაციები მოგების გადასახადის შემდგომი დახვეწისა და მისი ეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებებით.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა. გამომდინარე იქიდან, რომ მოგების გადასახადის რეფორმის ინიცირებიდან გასულია 2 წელი სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორის შესწავლით შეგვიძლია ვისაუბროთ მის შედეგებზე.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გავეცანით საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კვლევების შედეგებს, დამოუკიდებელი ექსპერტების, დარგის სპეციალისტების, აუდიტორების სტატიებსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებს აღნიშნული რეფორმის სუსტი და ძლიერი მხარეებისა და მისი მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევამ მოგვცა შესაძლებლობა დასკვნის სახით შეგვემუშავებინა რამოდენიმე რეკომენდაცია.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია გამოვლინდეს მოგების გადასახადის რეფორმის მოსალოდნელი შედეგები.

მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- მოგების გადასახადის რეფორმის შინაარსობრივი ანალიზი;
- მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ანალიზი და საქართველოს რეალობასთან მისი თავსებადობის შეფასება;

- რეფორმის უმთავრესი მიზნების გამოყოფა;
- რეფორმის ბიზნეს სექტორსა და კომპანიების მიერ მოგების რეინვესტირებაზე მოსალოდნელი გავლენის ანალიზი;
- სხვადასხვა სფეროსა და ზომის ბიზნესის წარმომადგენელთა გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით, რომელიც გამოავლენს მათ მოლოდინებს და სავარაუდო რეაქციებს რეფორმის განხორციელების შემთხვევაში;

კვლევის საგანი – მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში, ხოლო კვლევის **ობიექტი** – მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა კომპანიების მიერ რეინვესტირებაზე.

კვლევითი პროექტის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და სფეროს ექსპერტების კვლევებსა და სტატიებს.

გამოყენებულია როგორც სახელმწიფო სტრუქტურების ოფიციალური მონაცემები, ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების და ექსპერტების გამოკითხვის შედეგები.

კვლევითი პროექტის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში მოცემული ინფორმაციის, ანალიზისა და კვლევის შედეგების გამოყენება შეეძლებათ აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

თავი პირველი. საგადასახადო სისტემის თეორიული ასპექტები

1.1 საგადასახადო სისტემა საქართველოში და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში

გადასახადების გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს სჭირდება ობიექტურად მოითხოვს ჯარის პოლიციის და სხვა სამსახურების ფორმირება და შენახვა, რის დაფინანსებასაც ახდენს საგადასახადო შემოსავლების გზით.

საქართველოში გადასახადების შემოღება 11-ე საუკუნიდან წარმოებს, თუმცა ისტორიული წყაროები უფრო ადრეულ პერიოდზეც მიაწიწებენ. საქართველოში გავრცელებული იყო შემდეგი სახის გადასახადები: ბეგარა, ღალა, ხარჯა, ყალანი, კოდის პური, საპოლიციო, უძრავი ქონების, ვაჭრობის. ფეოდალური ხანის საქართველოში საგადასახადო სისტემა ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა ფეოდალები თავიანთი შეხედულებებისამებრ აწესებდნენ გადასახადებს.¹

გადასახადის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს, ისევე, როგორც მის მიმართ დამოკიდებულება ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსა თუ მეცნიერებს შორის, რომელთაგან ზოგიერთი ემხრობა ლიბერალურ, ხოლო ზოგი კი მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას და ა.შ.

გადასახადებს შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილებები როგორც საოჯახო მეურნეობების შრომის მიწოდებასთან დაკავშირებით, ასევე ბიზნესის ინვესტირებისა და დასაქმებულთა სტიმულირებაზე. ყველა ზემოთაღნიშნულმა ფაქტორმა საბოლოოდ შესაძლოა გამოიწვიოს მწარმოებლურობის შემცირება. თუმცა, მეორეს მხრივ, გაზრდილი გადასახადებით იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით კი დაბალგანვითარებულ ქვეყნებში.²

¹ იმედაშვილი, გ., საგადასახადო საქმე, სალექციო კურსი, თბილისი, 2014

² ვ. ჩანტლაძე, ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბ., 1995 გვ., 82

გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი ეფექტურად რეგულირება. სახელმწიფოს ეკონომიკური წარმატება ხშირად პირდაპირაა დამოკიდებული გადასახადის სწორ რეფორმასთან. მიღებული შემოსულობებით სახელმწიფო საზღვრავს ძირითად მიმართულებებს, თუ რაში უნდა განაწილდეს ფინანსური სახსრები, რომელი სფერო იქნება პრიორიტეტული და ასე შემდეგ. მოკლედ შეიძლება ასე ითქვას- გადასახადებზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი კეთილდღეობა.³

გადასახადები ყოველთვის და ყველგან მთელი საზოგადოების სოციალურეკონომიკურ სფეროს მოიცავდა.

გადასახადები ის ფასია, რომელსაც ცივილიზებული საზოგადოებისათვის ვიხდით - აღნიშნავდა ცნობილი ამერიკელი მწერალი ოლივერ ჰოლმსი.

გადასახადებს გააჩნია ორმაგი ბუნება – გამოდის წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმად (გადასახადების საზოგადოებრივი შინაარსი) და წარმოადგენს ფულად ფორმაში ეროვნული შემოსავლის ნაწილს (მატერიალური შინაარსი). ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია გადასახადები, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ისინი ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო ფინანსური გეგმის – ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. „სახელმწიფო თავისი წარმოშობიდან დღემდე, მჭიდროდ არის დაკავშირებული გადასახადებთან და მისი არსებობა წარმოუდგენელია გადასახადის გარეშე, სწორედ ამ კავშირის ხასიათია გამოხატული ბენჟამინ ფრანკლინის ფრაზაში: „ცხოვრებაში გარდაუვალია ორი რამ: სიკვდილი და გადასახადები.“

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ეყრდნობა ბიუჯეტის უნივერსალობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის ყველა შემოსულობა მიმართულ უნდა იქნას ბიუჯეტის

³ USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assessment on Estonian CIT Model Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

გადასახდელების დასაფინანსებლად და არ შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგინდეს, რომ ბიუჯეტის კონკრეტული შემოსულობა მიმართულ იქნეს ბიუჯეტის კონკრეტულ გადასახდელის დასაფინანსებლად

საგადასახადო ორგანოების მიდგომა, ადმინისტრირების სიმაკაცრე, ხელისუფლების ნებიდან და ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, გაუმჯობესდა. მათ შორის, გაიზარდა საგადასახადო დავის ორგანოთა თავისუფლების დონე, ხოლო ევროკავშირი მნიშვნელოვნად დაეხმარა საგადასახადო ორგანოებს, ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში და კომპენტენციის გაუმჯობესებაში, სხვადასხვა სასწავლო პროგრამის საშუალებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით: ქვეყანაში არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი (საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების, იმპორტის და აქციზის) და ადგილობრივი (ქონების) გადასახადები. იმავე მუხლის მიხედვით: „გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.“

გადასახადის განაკვეთები გადასახადის ტიპების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:⁴

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადები

- საშემოსავლო გადასახადი
- მოგების გადასახადი
- დამატებული ღირებულების გადასახადი
- აქციზის გადასახადი
- იმპორტის გადასახადი

ადგილობრივი გადასახადი

- ქონების გადასახადი

⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 6. გადასახადის ცნება და სახეები.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.⁵

რეზიდენტია ფიზიკური პირი, ანუ პირი რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში; არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული გადახდის წყაროდან. დასაბეგრი შემოსავალი წარმოადგენს სხვაობას კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და ხარჯების თანხებს შორის. რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავლები, რომლებიც არ ექვემდებარება საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, - იბეგრება 20 პროცენტით. გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლები, იბეგრება:

- ხელფასი -20 %
- დივიდენდები – 5%
- პროცენტები – 5 %
- როიალტი - 20%

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე შემდეგი განაკვეთით: დივიდენდები – 5% ; პროცენტები – 5 %; საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 10 %; ნავთობისა და გაზის შესახებ— საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი – 4 %; ფიზიკური პირისთვის გადახდილი საიჯარო მომსახურების

⁵ ს.ს კოდექსი, კარი V, თავი XI, მუხლი 79. გადასახადის გადამხდელი

თანხა – 20% ; სხვა თანხები, რომლებიც ითვლება საქართველოში მიღებულ შემოსავლად – 10%. ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი – 20%.

დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადამხდელად ითვლება:

ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

გ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

დ) არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას;

ე) პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ვ) პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ზ) პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ— საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე. [ს.ს კოდექსი, კარი VI დამატებული ღირებულების გადასახადი, თავი XXI, მუხლი 156.] დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის 18 პროცენტს. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის

მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა გადაიხადოს დღგ. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს; საქონლის დროებითი შემოტანისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164-ე მუხლის „ა— ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა. პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს (გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევისა), ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად და იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

აქციზის გადამხდელია პირი,

აქციზის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც:

- ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
- დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- ე) ახორციელებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2711 12, 2711 13, 2711 14 000 00, 2711 19 000 00 კოდებში მითითებული ნავთობპროდუქტების აირების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას
- ვ) ახორციელებს მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში არარეზიდენტი ან რეზიდენტი პირისაგან მიღებული საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას.

აქციზი გადახდას ექვემდებარება არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. საქონლის იმპორტისას აქციზი გადაიხდება იმპორტის გადასახდელისათვის დადგენილი წესის შესაბამისად

ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი

1. ქონების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე და არამატერიალურ აქტივებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;

ბ) არარეზიდენტი საწარმო – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ქონებაზე (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე);

გ) ფიზიკური პირი:

გ.ა) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე) და საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც დამაგრებულია უძრავი ქონება, იახტებზე (კატარლებზე), შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებზე; (24.06.2011. N4963 ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან)

გ.ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე;

გ.გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე და არამატერიალურ აქტივებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს: (14.06.2011. N4754)

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, – ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

რაც შეეხება მოგების გადასახადს :

მოგების გადასახადი 1996-2016 წლებში მთლიანი გადასახადების 9-14 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა.

ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა და მის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ სოციალური სარგებლს შექმნა, ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. ეს არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელისკენაც მიისწრაფვიან ბიზნეს სუბიექტები და რაზედაც დიდწილადაა დამოკიდებული მათი კონკურენტუნარიანობა და არსებობა ბაზარზე. ⁶

ეკონომიკურად მოგება წარმოადგენს სხვაობას ფულად შემოსავლებსა და ფულად ხარჯებს შორის, თუმცა სამეურნეო თვალსაზრისით მოგება წარმოადგენს სხვაობას ორგანიზაციის ქონებრივ მდგომარეობას პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს შორის. აღსანიშნავია, რომ მთავარი არ არის მოგებამ გაზარდოს მხოლოდ ფულადი

⁶ ფუტკარაძე, ს., პაპასქუა, ი., მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი: (კითხვები, მოსაზრებები და წინადადებები განსჯისთვის), 2016, <http://iverioni.com.ge/print:page,1,15987-ekonomikis-ganvitharebis-realuri-perspeqtiva-thu-mizans-acdenili-transformacia.html>

სახსრები. გაზრდილი მოგება შეიძლება გამოისახოს, როგორც გადიდებული აქტივები, შემცირებული ვალდებულებები, მაგრამ იგი ყოველთვის ზრდის კაპიტალს.

მოგებაზე ორიენტირებული საწარმოები ხარჯების შემცირებით ზრდიან მოგებას. ლოგიკურად, ყველა სუბიექტი ეცდება შეამციროს ხარჯი მოგების მიღების სანაცვლოდ. ამისთვის მინიმუმამდე დაჰყავთ წარმოების დანახარჯები, შრომითი ხარჯი, ახდენენ რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას და სწორედ ამის შემდეგ ქმნიან ისეთ პროდუქტსა თუ მომსახურებას, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებრივ მოთხოვნაზე. მოგების მიღებაში არა მარტო საწარმოებია დაინტერესებული, არამედ სახელმწიფოც, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი სწორედ შენატანებით საზრდოობს. ძლიერი ბიზნესი ქმნის ძლიერ სახელმწიფოს, მაგრამ პირიქით ვერ მოხდება, რადგან სახელმწიფო ვერ გახდება ძლიერი ეკონომიკის მქონე მძლავრი წარმოების გარეშე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ძლიერი სტიმული დაეხმაროს კერძო სექტორს და მიიღოს ისეთი რეგულაციები, რომლითაც უბიძგებს კვლავწარმოებისკენ.

მოგების გადასახადის სიდიდეზე მრავალი მოსაზრება არსებობს. ნაწილი ფიქრობს, რომ უმჯობესია მოგების გადასახადის ეტაპობრივი გაუქმება, მაშინ როცა მეორე ნაწილი მხარს უჭერს მის გაზრდას, რადგან გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი. აღსანიშნავია ის, რომ მცირე ქვეყნებში მოგების გადასახადის ლიბერალიზაცია ასტიმულირებს წარმოებას.

1997 წელს, როდესაც საგადასახადო კოდექსი მოქმედებაში შევიდა, საქართველოს მთავრობამ მოგების გადასახადი 30-35%-დან 20%-მდე შეამცირა. თავდაპირველად დაწესდა მკაცრი სანქციები საგადასახადო წესების დარღვევასთან დაკავშირებით, შემდეგ კი ეს რეგულაციები შერბილდა. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლით მოწესრიგდა საგადასახადო შემოწმების პროცედურები.

საქართველოში 2017 წლამდე მოქმედებდა მოგების გადასახადის კლასიკური – ორეტაპიანი დაბეგვრის სისტემა. პირველ ეტაპზე, გადასახადი (15%) იბეგრებოდა, საწარმოს მოგების წარმოშობისას. შემდგომ, თუ დამფუძნებელი რეზიდენტი საწარმო გახლდათ, მისთვის დივიდენდის გადაცემა არ იბეგრებოდა. მეორე ეტაპზე დაბეგვრა (5%)

ხორციელდებოდა მხოლოდ დივიდენდის საბოლოო განაწილებისას ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენის ვადას წარმოადგენდა საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილი და მიმდინარე გადასახდელები გადახდა ხდებოდა გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით 4 ნაწილად:

- ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;
- ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;
- გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;
- დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

რეფორმის შედეგად, 2017 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადის განაკვეთები იგივე დარჩა, პრაქტიკულად არ შეიცვალა დაბეგვრის ობიექტიც, თუმცა მაქსიმალურად გადავადდა მოგების პირველ ეტაპზე დაბეგვრის დრო – ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის მიერ დივიდენდის გატანის მომენტამდე. შედეგად, კომპანიები იბეგრებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მოგებას გაანაწილებენ დივიდენდების სახით. რეფორმა გულისხმობს მოგების გადასახადს არა მოგების მიღების მომენტში, არამედ მისი გაწილების პროცესში.

1.2. საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები

მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში, ესტონეთის გამოცდილებით დაინერგა, რადგან სწორედ მან მიიღო ეს რეგულაცია პირველად და რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

"ესტონური მოდელი" გულისხმობს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას. დაბეგვრისგან უნდა გათავისუფლდეს მოგების ის ნაწილი, რომელსაც კომპანია ჩააბრუნებს საკუთარ ბიზნესში, ანუ მოახდენს მის რეინვესტირებას. იმ შემთხვევაში თუ მოგება განაწილდება დივიდენდების სახით, მაშინ მასზე არ იმოქმედებს ეს რეგულაცია და მოგებაც და განაწილებული დივიდენდებიც დაიბეგრება. ახალი სისტემა შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს გააფართოვონ წარმოება, დაასაქმონ მეტი ადამიანი, შექმნან მეტი დოვლათი, რაც შემდგომში ბევრად ფართო დასაბეგრ ბაზას შექმნის. ასეთი სიტუაცია ინვესტიციურად მიმზიდველს გახდის ქვეყანას, რადგან საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია წახალისებს ინვესტირებას. საბოლოო ჯამში მივიღებთ მექანიზმს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

კანონპროექტით დაგეგმილი საგადასახადო ცვლილებები სამ ეტაპად ამოქმედდა:

პირველ ეტაპზე ეს შეეხო დამატებული ღირებულების გადასახადს - ძირითადი საშუალებების იმპორტის დროს, დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა საჭირო აღარ არის, რაც გულისხმობს ასევე ადმინისტრირების გამარტივებას.

მეორე ეტაპზე მოგების გადასახადი ჩანაცვლდა განაწილებული მოგების გადასახადით, რომელიც 2017 წლის 1-ელ იანვარს ამოქმედდა.

მესამე ეტაპი შეეხება საფინანსო სექტორს, რომელზეც კანონპროექტი 2023 წლის 1-ლი იანვრიდან გავრცელდება. რეფორმა ასევე ითვალისწინებს მთელი რიგი საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურათა გამარტივებას.

კანონპროექტი ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერას: კერძოდ, ჩამოიწერა 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე

დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება;

რეფორმამდელი მოგების გადასახადი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს - ხარჯები = დასაბეგრი მოგება * 15% = გადასახდელ მოგების გადასახადს.

რეფორმა⁷ არ ეხება ფიზიკურ პირებს, მათ შორის ინდემწარმეებს. დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა. ახალ მოდელზე ავტომატურად გადავიდა ყველა იურიდიული პირი, გარდა საფინანსო ბიზნესისა, მათ შორის არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დაწესებულებები.

ახალი მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორებზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით გადასახადი იყოფა 4 ნაწილად და განაწილებული მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება



⁷ საქართველოს კანონი; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილი ცვლილებები <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3288317>

1. განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

ა. დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით

ბ. ურთიერთდამოკიდებული პირისაგან საქონლისა და მომსახურების შეძენა საბაზრო ფასისაგან განსხვავებული ფასით.

გ. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორები) რეგისტრირებული პირთან საქონლის შეძენა რეალიზაცია საბაზროსაგან განსხვავებული ფასით.

დ. საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან თავისუფალ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

განაწილებული დივიდენდისას - დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას.

გარიგების და საბაზრო ფასს შორის სხვაობების დროს - დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადით დაიბეგრება გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ურთიერთდამოკიდებულ პირთან, ოფშორულ კომპანიასთან და მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოსთან.

სხვაობა შესყიდვის ოპერაციაზე დაიბეგრება საბაზრო ფასზე მაღალი ღირებულების გადახდისას, ხოლო მიწოდების ოპერაციაზე - საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად მიწოდების მომენტში.

საბაზრო ფასთან სხვაობა არ იბეგრება მოგების გადასახადით, თუ ოპერაციის მხარე არის დაბეგვრის საბიუჯეტო ორგანიზაცია ან ახალ მოდელზე მყოფი საწარმო.

2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას არ უკავშირდება.

ეს ხარჯებია

ა. დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები

- ბ. ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება
- გ. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე კომპანიიდან შეძენილი საქონელი/მომსახურება
- დ. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისაგან საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი
- ე. ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის (24%) ფარგლების ზემოთ სესხისათვის გადახდილი პროცენტი
- ვ. სპეციალური სავაჭრო კომპანიისგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი
- ზ. ოფშორში რეგისტრირებული პირის, მოგების გადასახადისგან თავისუფალი პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა. სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნების შესაძენად განხორციელებული გადახდა
- თ. გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტებზე, ოფშორულ არარეზიდენტებსა და მოგების გადასახადისან გათავისუფლებულ პირებზე.
- ი. ზარალი, რომელიც წამოშობილია შეღავათიანი დაბგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით.
- კ. არარეზიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან განთავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა.
- ლ. არეზიდენტის და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გაცემა, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალებების დანაკლისი;

თუმცა ზოგიერთი ამგვარი ოპერაცია დაბეგვრას არ დაექვემდებარება, მათ შორის აღსანიშნავია:

- უსასყიდლო მიწოდება ან თანხის ჩუქება, რომელიც გადახდის წყაროსთან დაიბეგრა საშემოსავლო გადასახადით
- უსასყიდლო მიწოდება ან თანხის ჩუქება სახელმწიფოსთვის
- საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა ზღვრული ოდენობის ფარგლებში
- ისეთი უსასყიდლო მიწოდება, რომელიც განხორციელდა მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზნით

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობით ხარჯი. (საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1% ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი, ან კომპანა თუ ზარალზეა მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯების 1%-ზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

რეფორმის შედეგად არ შეცვლილა გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15% დარჩა.

თავი მეორე. მოგების გადასახადის რეფორმის არსი და მიზნები საქართველოში

2.1. მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ არსი

ესტონეთი ჩრდილოეთ ევროპის პატარა ქვეყანაა. ეკონომიკურ აღმავლობამდე მძიმე პერიოდი იყო, ისეთი როგორც გამოიარა პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანამ. მას წარმატება სწორად და დროულად გატარებულმა რეფორმებმა მოუტანა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია გახლავთ. როგორც წესი, ქვეყნის ხელისუფალთ სწორედ რადიკალური საგადასახადო რეფორმების განხორციელება ეძნელებათ, რადგან ხალხში ეს არაპოპულარულია და ამავდროულად, იწვევს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას მოკლევადიან პერიოდში. შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმა უმტკივნეულოდ განხორციელდა.

მოგების გადასახადის რეფორმის კუთხით ე.წ. ესტონური გამოცდილების გაზიარება გულისხმობდა, რომ გადასახადისაგან გათავისუფლდა მოგების ის ნაწილი, რომელსაც საწარმო/ფირმა უკან ჩააბრუნებს ეკონომიკაში ან/და გამოიყენებს სხვადასხვა საჭიროებისათვის (რეინვესტირება). ხოლო დარჩენილი მოგება, რომელსაც გაანაწილებს საწარმო/ფირმა, კვლავ იბეგრება. ამავე რეფორმის მიხედვით დივიდენდებიდან და პროცენტიდან მიღებული შემოსავალი კვლავ 5%-ით იბეგრება. ამასთან, მოქნილი გახდა გადასახადის გადახდის მექანიზმი და საანგარიშო პერიოდი მოგების გადასახადისათვის გახდა 1 თვე. (ესტონეთში გადაიხდება ყოველი თვის გასვლიდან 10 დღეში)

მოგების გადასახადის გაუქმების ან მისი რეფორმირებით ესტონური მოდელის მსგავსად, ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირება - მიმზიდველი გამხდარიყო ეკონომიკური გარემო როგორც შიდა, ისე უცხოური რესურსების მობილიზების კუთხით. ზემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით, მოგების გადასახადის რეფორმამ ეკონომიკაზე შესაძლოა შემდეგნაირად მოქმედებს: არსებულ


საწარმოებში/ფირმებში გაჩნდა სტიმული წარმოების გაფართოების მიზნით და განხორციელდა რეინვესტირება. ასევე ამგვარმა საგადასახადო ლიბერალიზაციამ მიმზიდველი გახადა ეკონომიკური გარემო უცხოური ინვესტიციებისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა სხვა ბევრ ფაქტორზეც არის დამოკიდებული, როგორცაა ქვეყანაში ბიზნეს გარემო, რეგიონში არსებული საგადასახადო სისტემები და ეფექტური საშუალო გადასახადის განაკვეთების დონე, რადგან მისი ზომა სტიმულის სიდიდეს მნიშვნელოვნად განაპირობებს. მაგალითად, ესტონეთში რეფორმის განხორციელებიდან მე-3 და მე-4 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა რეინვესტირებული შემოსავლები, განსაკუთრებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (Ratso, 2005). აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ხშირად უცხოური ინვესტიციების ზრდის ფაქტორის განხილვა ერთ-ერთ თანამდევ ეფექტად გაურკვეველია და მისი სირთულიდან გამომდინარე შეიძლება განვიხილოთ როგორც ნეიტრალური ფაქტორი.

ესტონეთი თითქმის მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული - საგარეო ვაჭრობის 92 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა. ესტონეთს ძალიან ცოტა რამ გააჩნდა ისეთი, რაც მსოფლიო ბაზარზე გაიყიდებოდა. ამ ყველაფრის ფონზე ესტონეთში განხორციელდა გარკვეული რეფორმები. 1992 წელს დაწყებულმა რადიკალურმა რეფორმებმა 15 წელიწადში ისე შეცვალა ესტონეთი, რომ კომუნისტური რეჟიმის დროინდელ ესტონეთს სულ აღარ ჰგავს. ესტონეთი პირველი ყოფილი კომუნისტური ქვეყანაა, რომელმაც „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის— ყოველწლიური გამოცემის მიხედვით „თავისუფალი ეკონომიკის— სტატუსს მიაღწია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მან არა მარტო „თავისუფალი ეკონომიკის—, არამედ მსოფლიოში ერთ ერთი ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის სტატუსი მოიპოვა და 2007 წლის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის— მიხედვით მე-12 ადგილი დაიკავა.⁸

ძირითადად ესტონური მოდელის წარმატება განაპირობა თანმიმდევრულმა, დროში გაწერილმა მზადებამ დიდი ცვლილებებისთვის. ესტონელები ამ რეფორმის მოსამზადებლად სხვა ტიპის რეფორმებსაც ახორციელებდნენ, რაც გრძელდებოდა არა ერთი,

⁸ Tim kane, Kim R 2007

ან ორი წლის განმავლობაში, არამედ - პრაქტიკულად, თითქმის, 10 წელს. თავისთავად, ასეთი რეფორმების ეტაპობრივი —ინექცია ეკონომიკაში მთლიანად ცვლიდა საგადასახადო გარემოს, რომელიც გავლენას ასევე ეტაპობრივად ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ესტონეთში მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმები 1995 წლიდან დაიწყო. მოგების გადასახადის (კორპორატიული გადასახადი მოგებაზე) რეფორმა კი 2000 წელს განხორციელდა, რომლის მიხედვით, მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრებოდა გაუნაწილებელი მოგება.




ცხრილი 2.1.1. მოგების გადასახადი უნიფიცირებული საგადასახადო სისტემისას 2000 წ-მდე - ესტონეთი

რეფორმამდე, მაგალითად, 1999 წლისთვის, ესტონეთში მთლიანი საგადასახადო შემოსავლების, დაახლოებით, 6 პროცენტი ეჭირა მოგების გადასახადს და განაკვეთი 21 პროცენტს შეადგენდა. მოგების გადასახადი ყველა განვითარებულ ქვეყანაში, წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს, შესაბამისად, ამ საგადასახადო შემოსავალზე ნაწილობრივ უარის თქმა ხელისუფლებისთვის მტკივნეული პროცესია. თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ვიცით, მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის წნეხის შესუსტება იწვევს მოკლევადიან პერიოდში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, გრძელვადიან პერიოდში ეს ფისკალური პოლიტიკა დიდი ალბათობით საგასახადო შემოსავლების ზრდას განაპირობებს. კვლევების უმეტესობა მიუთითებს შემცირებული საგადასახადო წნეხის უპირატესობაზე. მაგალითად, ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მოგების გადასახადის შემცირებამ გააუმჯობესა ესტონეთში ოპერირებადი კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, კონკრეტულად კი, მათი კაპიტალის ლიკვიდურობა, ფულადი აქტივების ზრდა როგორც საბრუნავ კაპიტალში, ასევე საბანკო

ანგარიშებზე, რამაც ლიტვისა და ლატვიის კომპანიებთან შედარებით, ესტონურ ფირმებს მისცა შესაძლებლობა შედარებით უმტკივნეულოდ გადაეტანათ 2008 წლის ფინანსური კრიზისი. „ესტონური მოდელი— სასახელოდ უნდა ვახსენოთ „საერთაშორისო საგადასახადო კონკურენტუნარიანობის ინდექსი—, რომელიც ზომავს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში— (OECD) შემავალი ქვეყნების საგადასახადო სისტემის ეფექტურობას ბიზნესის წარმოების ხელშეწყობის კუთხით. ესტონეთს კი ბოლო უკანასკნელი წლებია, ამ ინდექსის უმაღლესი მაჩვენებელი აქვს. 2015 წლის მონაცემებით ესტონეთი ერთ სულ მოსახლეზე სტარტაპების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. ესტონეთში სტარტაპების ბუმს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: საგადასახადო გარემო (დაუბეგრავი გაუნაწილებელი მოგება), კომპანიის დარეგისტრირების მარტივი პროცედურა (ინტერნეტის საშუალებით შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის ფირმისა თუ ორგანიზაციის დარეგისტრირება შესაძლებელია ნახევარ საათში), IT სექტორის წამახალისებელი სახელმწიფო პროგრამები და სტაბილური ეკონომიკური მაკროგარემო. ესტონეთში ეკონომიკურად გამართლებული „ესტონური მოდელი— ვერ მიაღწევდა მსგავს შედეგებს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს გარეშე. რეფორმის დადებითი გავლენა იკვეთება ინვესტიციებსა და შრომის მწარმოებლურობაზე. სწორედ ამ შედეგებმა შეუწყო ხელი ფირმების გამძლეობას და გადარჩენას 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს კონკრეტული ციფრები: 2000 წელს 1999 წელთან შედარებით ესტონეთის ნაერთი ბიუჯეტის მოგების გადასახადი 1 638.8 მლნ კრონიდან 854.5 კრონამდე (48%-ით) შემცირდა, ხოლო 2001 წელს 748.3 კრონა შეადგინა. უკვე რეფორმის მეოთხე წელს მოგების გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2004 წელს 2 522 კრონა იყო. 2000 წელს მოგების გადასახადის წილი 1999 წელთან შედარებით მშპ-ის 2%-დან 0.92%-მდე შემცირდა, ხოლო 2004 წელს ამ მაჩვენებელმა 1.78% შეადგინა. 1999 წელს ესტონეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

284 მილიონ ევროს შეადგენდა. 2000 წელს კი მან 424 მილიონ ევროს მიაღწია, ხოლო 2004 წლისათვის 3-ჯერ გაიზარდა და 838 მილიონი ევრო გახდა.⁹



ცხრილი 2.1.2. მოგების გადასახადი რეფორმის გატარების შემდეგ 2000წ - ესტონეთი

დღე ესტონურ კომპანიებს უფლება აქვთ მოგების ხარჯზე, შეუზღუდავად და დაუბეგრავად განახორციელონ რეინვესტიცია - გააფართოონ, გადააიარაღონ წარმოება ან, უბრალოდ, საბანკო დეპოზიტზე შეინახონ თანხა. მოგების გადასახადის მიზნებისათვის საანგარიშო პერიოდად კალენდარული თვე ითვლება, შესაბამისად, კომპანიებს მაქსიმალური თავისუფლება აქვთ და შეუძლიათ წლის განმავლობაში არაერთხელ შეცვალონ საინვესტიციო თუ მოგების განაწილების გეგმები.¹⁰

პოლიტიკის არსია დაბეგვრის დროის ცვლილება - მოგების წარმოშობიდან მოგების განაწილებამდე. მთავარი, რაც ესტონეთის ხელისუფლებამ გააკეთა იყო ბიზნესისთვის სტიმულის მიცემა, რათა მათ მოეხდინათ მიღებული მოგების რეინვესტირება.

მოგების გადასახადის რეფორმა ასტიმულირებს საწარმოებს განახორციელონ მოგების ჩაბრუნება, მოახდინონ კვლავწარმოება, რაც ზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, ასევე ზრდის შექმნილ პროდუქტსა თუ მომსახურებას და ხელს უწყობს საწარმოების გაფართოებას.

⁹ J. Masso, J. Meriküll, and P. Vahter, "Gross profit taxation versus distributed profit taxation and firm performance: effects of Estonia's corporate income tax reform," The University of Tartu Faculty of Economics and Business Administration, Working Paper No. 81-2011, p. 33, March 2011.

¹⁰ ნანუაშვილი, ნ., მოგების გადასახადის რეფორმა – ესტონური გაკვეთილი საქართველოსათვის, Forbes Georgia, 2015, <http://forbes.ge/news/904/estonuri-gakveTili-saqarTvelosaTvis>

ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ კომპანიის საჭიროებებთან - ჩვეულებრივად გამოიქვითება და თავისუფალია გადასახადებისაგან. საშემოსავლო და სოციალური გადასახადით იბეგრება დასაქმებულებისთვის გაცემული ხელფასი ან სხვა სარგებელი. მიღებული მოგების დაუბეგრავად რეინვესტირების შესაძლებლობა თანაბრად აქვთ როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ ბიზნესს; შედეგად, გაიზარდა კომპანიების კაპიტალი, აქტივები, წარმოების საშუალებები და, აქედან გამომდინარე, ინვესტიციების განხორციელების მოტივაციაც.

მოგების გადასახადის რეფორმით იზრდება როგორც დასაბეგრი შემოსავალი, ასევე შემოსულობების ნაწილიც. აღსანიშნავია, რომ ესტონეთში მოგების გადასახადის ნაწილში კლება დაფიქსირდა პირველი ორი წლის განმავლობაში, ხოლო 2001 წლიდან საგადასახადო შემოსავლების ზრდის უწყვეტი ტენდენცია ფიქსირდება.

საგადასახადო ადმინისტრირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის სიმარტივე ესტონური მოდელის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ღირსებაა. გადასახადების დეკლარირება მთლიანად ელექტრონულად ხდება და სრულად თავსებადია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. გაუქმებულია ყველა სახის სპეციალური საგადასახადო შეღავათი (მოგების გადასახადის მიზნებისათვის). არ არსებობს უძრავ/ მოძრავი ქონების ამორტიზაციის დაანგარიშების აუცილებლობა.

მოგების გადასახადის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი ინვესტიციების სტიმულირებაა. მართალია, ინვესტიციების მოზიდვისთვის არასაკმარისია მხოლოდ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მაგრამ სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში.

2008 წელს ესტონეთში მოგების გადასახადი კიდევ უფრო შემცირდა და კორპორაციებისათვის იგი 21% გახდა, ხოლო 2015 წლიდან 20%.

2019 წლიდან ამოქმედდა ახალი ინიციატივა რომლის თანახმადაც მოგების გადასახადი შემცირდა 14% მდე, 14/86 გაცემულ დივიდენდებზე, (Subsection 4(5) and Section 501 of the Income Tax Act.)


დღეს ესტონურ კომპანიებს საშუალება აქვთ გაცემულ დივიდენდზე გადაიხადონ შემცირებული 14/86 განაკვეთი სტანდარტულ 20/80 განაკვეთთან შედარებით. შემცირებული განაკვეთით დაიბეგრება მხოლოდ ის დივიდენდები რომლებიც გაცემულია იურიდიულ პირებზე. ფიზიკური პირები დაიბეგრებიან არსებული განაკვეთით. 2018-2022 წლები მიჩნეულია გარდამავალ პერიოდად.

2018 წელი მიჩნეულია პირველ საანგარიშო წლად.


გადასახდელი გადასახადი გამოითვლება შემდეგნაირად

1. 2019 წელი, 1/3 მოგებიდან რომელიც მიღებულია 2018 წელს
2. 20120 წელი, 1/3 მოგებიდან რომელიც მიღებულია 2018 და 2019 წლებში.

შემცირებული განაკვეთით დაიბეგრება რეზიდენტობის ცნობის წარდგენის შემდეგ რამოდენიმე ქვეყნის არარეზიდენტ კომპანიაზე გაცემული დივიდენდებიც. ამ ქვეყნებს შორის არის საქართველოს არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, ჯერსი, მენის კუნძული, მექსიკა. ბულგარულ და მაკედონიურ არარეზიდენტ კომპანიებზე გაცემული დივიდენდები დაიბეგრება 5% ით შემცირებული განაკვეთით.




გრაფიკი 2.1.1. შემოსავლები მოგების გადასახადიდან, მილიონი კრონი (1995-2005წწ)
2016 - 2018 წლების შემოსავლები ბიუჯეტში გადასახადის სახეების მიხედვით



გრაფიკი 2.1.2. შემოსავლები ბიუჯეტში გადასახადის სახეების მიხედვით; ათასი ევრო (ესტონეთი; 2016-2018 წლები)

მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი 2016-2018 წლები



2.1.3. შემოსავლები მოგების გადასახადიდან, ათასი ევრო (2016-2018წწ)

1999 წელს ესტონეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 284 მილიონ ევროს შეადგენდა. 2000 წელს კი მან 424 მილიონ ევროს მიაღწია, ხოლო 2004 წლისათვის 3-ჯერ გაიზარდა და 838 მილიონი ევრო გახდა¹¹

ვფიქრობთ, საჭიროა მოვიყვანოთ ეკონომიკური კვლევების მაგალითები, რომლებიც აანალიზებენ მოგების გადასახადის რეფორმის შედეგებს.¹²

მასომ, მერიკულმა და ვაჰტერმა (Masso, Merikull and Vahter (2013)) გაანალიზეს ესტონეთის საგადასახადო სისტემის რეფორმა. მათ გამოიყენეს 1996 წლიდან 2008 წლის ჩათვლით პანელური მონაცემები ფირმების დონეზე და შეისწავლეს მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა კაპიტალის სტრუქტურაზე, ინვესტიციებზე, ლიკვიდობასა და მწარმოებლურობაზე წარმოებისა და მომსახურების სფეროში მოღვაწე კომპანიებისთვის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გაიზარდა აქტივების ლიკვიდობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით მცირე საწარმოების აქტივობების მაჩვენებელი; ინვესტიციებზე უკუგება გაიზარდა 17 პროცენტული პუნქტით; ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა გაიზარდა 8 პროცენტით; გაუნაწილებელი მოგების და დანაზოგების წილი მთლიან კაპიტალში კი 8.1 პროცენტით გაიზარდა.¹³

ს. როუდონენი (Raudonen (2010)) აღნიშნავს, რომ ესტონეთის საგადასახადო სისტემის ცვლილებამ შეცვალა ინვესტიციების ხასიათი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის შემოდინებას ესტონურ საწარმოებში და ესტონეთი გახდა მიმზიდველი უცხოელი ინვესტორებისთვისაც. მკვლევარმა გამოიყენა ორგანიზაციების პანელური მონაცემები 1999-2006 წლების პერიოდისთვის. სხვადასხვა რეგრესიული მოდელების საშუალებით განხორციელებული ანალიზის შედეგად მან დაადგინა, რომ ეფექტური საგადასახადო განაკვეთის 1 პროცენტით შემცირება საშუალოდ 3,000 კრონით ზრდის უცხოურ კაპიტალს ერთ კომპანიაში მომდევნო წელს.¹⁴

¹¹ ესტონეთის სტატისტიკის ოფისი

¹² 15 FEBRUARY 2016; USAID GOVERNING FOR GROWTH (G4G) IN GEORGIA; REGULATORY IMPACT ASSESSMENT ON ESTONIAN CIT MODEL IMPLEMENTATION IN GEORGIA;

¹³ Masso, J., Merikull, J., Vahter, P., "Shift from gross Corporate Income Taxation to distributed Corporate Income Taxation: Are there effects on firms?" Journal of Comparative Economics 41 (2013): 1092-1105.

¹⁴ Raudonen, Svetlana. "Do Corporate Taxation and Bilateral Tax Treaties Promote Foreign Investments into Estonian Manufacturing Sector?" Eesti Majandusteaduse Seltsi aastakonverentsi ettekanded, January 2010.

ა. ჰაზაკმა (Hazak (2009)) გააანალიზა სხვადასხვა კომპანიების კაპიტალის სტრუქტურა და დივიდენდებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 2000 წელს მიღებული კორპორაციული საგადასახადო რეფორმის შემდეგ. მან გამოიყენა მონაცემები 1995-დან 2004 წლის ჩათვლით, რათა ერთმანეთისთვის შეედარებინა რეფორმდე და მის შემდგომ კომპანიების მიღებული გადაწყვეტილებები. პანელური მონაცემების რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ საგადასახადო რეფორმის შემდეგ გაუნაწილებელი მოგება კომპანიებში გაიზარდა 4.7%-ით, მაგრამ მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს ზრდა აუცილებლად არ გამოიწვევს დამატებით სტრატეგიულ ინვესტიციებს, რადგან დაგროვილი თანხა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვალდებულებების დაფარვისა და ლიკვიდური აქტივების დასაგროვებლად. შესაბამისად, შემცირდა კომპანიების ვალდებულებები და გარე წყაროებიდან მოძიებული დაფინანსება. ამას გარდა, გაიზარდა ნაღდი ფულის მასა.¹⁵

რაც შეეხება მთლიან ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას, 1999 წლიდან ორივე მაჩვენებელში აღმავლობის ტენდენცია შეინიშნებოდა. გაიზარდა როგორც ინვესტიციების წილი მშპ-ში, ისე მშპ-ს ზრდის ტემპიც და რეფორმამდელი პერიოდის საშუალოსთან შედარებით თითქმის გაორმაგდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების მოცულობის დონეს და ეკონომიკური ზრდას სხვა მრავალი ფაქტორი განაპირობებს და ძნელია მხოლოდ საგადასახადო რეფორმის შედეგად იქნას მიჩნეული მათი ზრდის ტემპების დაჩქარება

თუმცა, გამოიყოფა რამდენიმე ყურადსაღები საკითხი. კერძოდ, ცალკეული კვლევების მიხედვით, თუ საგადასახადო შემოსავლების შევსება მოგების გადასახადის ნაცვლად შრომის დაბეგვრაზე ან დამატებული ღირებულების გადასახადზე გადაინაცვლებს, შესაძლებელია საგადასახადო სისტემის პროგრესულობა შემცირდეს და ეკონომიკაში შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული გამოწვევები წამოიჭრას. გარდა ზემო აღნიშნულისა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით მსგავსი

¹⁵ Hazak, Aaro. "Companies' Financial Decisions Under the Distributed Corporate Income Taxation Regime of Estonia." *Emerging Markets Finance & Trade* 45, no. 4 (July-August 2009): 4-12.

ტიპის საგადასახადო სტიმულებზე მეტად მნიშვნელოვანი მოწესრიგებული ინსტიტუციური გარემო, მმართველობის გარემო, შრომის ღირებულება, ზოგადი ბიზნეს კლიმატი და სხვა ფაქტორებია. აღნიშნული წყაროები მაგალითად მოლდოვის საგადასახადო რეფორმის ანალიზისას მიუთითებენ, რომ მოგების გადასახადის შემცირება (გაუქმება) არ შეიძლება იქნას მიჩნეული როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი

ეკონომიკური თვალსაზრისით კვლევები მიუთითებს, რომ ესტონური ტიპის საგადასახადო რეფორმას შესაძლოა ჰქონდეს პოზიტიური ზეგავლენა ეკონომიკის კაპიტალის მარაგზე, გამოშვებასა და მოხმარებაზე, თუმცა გავლენის მასშტაბი დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე როგორცაა დროთაშორისი მოხმარების ელასტიურობა (ანუ რამდენად მაღალია მოხმარების ჩანაცვლებადობა დროის განსხვავებულ პერიოდებს შორის) და ე.წ. მოუთმენელ მომხმარებელთა წილი საზოგადოებაში (რომლებიც ნაკლებად არიან მიდრეკილნი მოგების რეინვესტირებით გადადონ მოხმარება მომავალში). მიუხედავად ემპირიულად დადგენილი პოზიტიური ეფექტებისა, არსებობს გარკვეული რისკის მატარებელი სფეროები. კერძოდ: ა) ინვესტირების მაღალმა დონემ შესაძლოა მოხმარების დროებითი ვარდნა გამოიწვიოს, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ბაზრებზე ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან და რეინვესტირებას ძირითადად შიდა წყაროებიდან განახორციელებენ; ბ) პოლიტიკა მოკლებულია ზეგავლენა იქონიოს ინვესტირების სტრუქტურაზე, რამდენადაც ყველა ტიპის რეინვესტირებული მოგება თანაბრად თავისუფლდება გადასახადისაგან.

2.2. ბიზნესის მახასიათებლები და ინსტიტუციური მოწყობა - შედარება

დღემდე ჩატარებული კვლევები მიზნად ისახავს დადგინდეს თუ რამდენად ეფექტური იქნება ესტონური მოდელის რეფორმის განხორციელება საქართველოსთვის. USAID-ის კვლევის თანახმად, გამოვლინდა შესაძლებელია თუ არა ესტონეთის წარმატებული რეფორმა განმეორდეს საქართველოსთვისაც, რისთვისაც შეისწავლეს რეფორმამდელ ესტონეთსა და საქართველოში ფირმების დეტალური განაწილება, აიგო და ერთმანეს შედარდა ფირმის ძირითადი ცვლადები. ასევე, საყოველთაოდ ცნობილ გლობალურ რეიტინგებზე დაყრდნობით საქართველოს ინსტიტუციური განვითარების არსებული დონე ესტონეთში კორპორატიული მოგების გადასახადის სისტემის ცვლილებამდე არსებულ დონესთან შეპირისპირდა.

ესტონეთში განხორციელებული რეფორმის შედეგებზე ჩატარდა ემპირიული კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ განსხვავებული სექტორისა და განსხვავებული ზომის ფირმებმა ცვლილებებზე სხვადასხვაგვარი რეაგირება მოახდინეს. სწორედ ამიტომ, პირველი მახასიათებელი რომელიც უნდა შევადაროთ, ეს არის, საქართველოსა და ესტონეთის ფირმების განაწილება საქმიანობის სფეროსა და ზომის მიხედვით.

გამომდინარე იქედან, რომ ესტონეთში რეფორმა 2000 წელს განხორციელდა, ვიღებთ იმ წლის მონაცემებს და ვადარებთ საქართველოს უახლოეს მონაცემებს. ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში მოცემულია ეს განაწილება, კომპანიის ზომაში იგულისხმება დასაქმებულთა რაოდენობა.

ეკონომიკური სექტორი/ზომა	სულ	1-9	10-19	20-49	50-99	100-249	250+
სულ	100%	76.61%	11.84%	7.44%	2.45%	1.13%	0.54%
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყვეობა	4.09%	2.73%	0.60%	0.51%	0.16%	0.07%	0.02%
თევზჭერა	0.39%	0.30%	0.04%	0.03%	0.00%	0.01%	0.00%

სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	0.21%	0.07%	0.04%	0.05%	0.01%	0.02%	0.02%
დამმუშავებელი მრეწველობა	13.53%	7.67%	2.17%	2.07%	0.88%	0.48%	0.26%
ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება, წყალმომარაგება	0.93%	0.44%	0.24%	0.16%	0.03%	0.02%	0.03%
მშენებლობა	6.99%	4.56%	1.22%	0.83%	0.29%	0.08%	0.02%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	38.42%	32.18%	3.93%	1.69%	0.41%	0.14%	0.06%
სასტუმროები და რესტორნები	4.06%	2.92%	0.69%	0.34%	0.10%	0.02%	0.00%
გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები	6.95%	5.25%	0.78%	0.52%	0.21%	0.12%	0.07%
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება	18.50%	16.00%	1.38%	0.81%	0.21%	0.08%	0.03%
განათლება	1.20%	0.97%	0.12%	0.08%	0.01%	0.01%	0.00%
ჯანდაცვა და სოციალურისერვისები	1.51%	1.07%	0.21%	0.13%	0.06%	0.03%	0.01%
სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება	3.21%	2.44%	0.43%	0.22%	0.07%	0.05%	0.00%

ცხრილი 2.2.1. ესტონეთში ფირმების განაწილება მათში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, 2000წ¹⁶

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ დაახლოებით 77% ფირმებისა მცირე ზომისაა, ხოლო დარგების მიხედვით ყველაზე დიდი წილი ეკონომიკის საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში ფიქსირდება, რაც დაახლოებით 39%-ია. ამ დარგის შემდეგ სიდიდით მეორე უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურებაა.

¹⁶ USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assessment on Estonian CIT Mdel Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

ეკონომიკური სექტორი/ზომა	სულ	1-9	10-19	20-49	50-99	100-249	250+
სულ	100%	62.69%	14.29%	12.64%	5.46%	3.29%	1.67%
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყევეობა	1.48%	0.83%	0.32%	0.14%	0.10%	0.05%	0.04%
თევზჭერა	0.19%	0.16%	0.01%	0.01%	0.01%	0.00%	0.00%
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	1.28%	0.71%	0.28%	0.22%	0.03%	0.02%	0.01%
დამამუშავებელი მრეწველობა	15.24%	8.93%	2.14%	2.26%	1.15%	0.48%	0.29%
ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება, წყალმომარაგება	0.61%	0.17%	0.12%	0.10%	0.09%	0.07%	0.07%
მშენებლობა	9.10%	3.83%	1.61%	1.99%	1.01%	0.46%	0.20%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	45.40%	34.04%	5.54%	3.82%	1.08%	0.64%	0.28%
სასტუმროები და რესტორნები	3.43%	1.79%	0.49%	0.63%	0.28%	0.18%	0.07%
გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები	6.01%	3.23%	1.27%	0.94%	0.22%	0.22%	0.13%
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება	9.29%	5.77%	1.42%	1.29%	0.46%	0.25%	0.10%
განათლება	2.23%	1.01%	0.33%	0.39%	0.29%	0.17%	0.04%
ჯანდაცვა და სოციალურისერვისები	2.93%	0.83%	0.34%	0.48%	0.36%	0.60%	0.33%
სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება	2.80%	1.41%	0.41%	0.37%	0.35%	0.16%	0.10%

ცხრილი 2.2.2. საქართველოში ფირმების განაწილება მათში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, 2014წ

საქართველოში მცირე ზომის ფირმები 63%-ს შეადგენს, დარგების მიხედვით 45% ფუნქციონირებს ეკონომიკის საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორში. სიდიდით მეორე დარგი დამამუშავებელი მრეწველობაა, მას მოსდევს უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება.

იმისათვის, რომ საქართველოსა და ესტონეთის მონაცემებს შორის განსხვავება უფრო თვალსაჩინო იყოს, განვიხილოთ ფირმების განაწილება სხვაობის ცხრილით.

ეკონომიკური სექტორი/ზომა	სულ	1-9	10-19	20-49	50-99	100-249	250+
სულ	0%	13.92%	-2.45%	-5.20%	-3.01%	-2.16%	-1.13%
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყვეობა	2.61%	1.91%	0.28%	0.37%	0.06%	0.02%	-0.02%
თევზჭერა	0.19%	0.14%	0.02%	0.02%	0.00%	0.01%	0.00%
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	-1.07%	-0.63%	-0.24%	-0.17%	-0.02%	-0.01%	0.00%
დამამუშავებელი მრეწველობა	-1.70%	-1.26%	0.04%	-0.19%	-0.27%	0.00%	-0.03%
ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება, წყალმომარაგება	0.32%	0.27%	0.12%	0.07%	-0.06%	-0.04%	-0.03%
მშენებლობა	-2.11%	0.73%	-0.39%	-1.17%	-0.72%	-0.38%	-0.18%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	-6.98%	-1.86%	-1.60%	-2.13%	-0.67%	-0.50%	-0.22%
სასტუმროები და რესტორნები	0.63%	1.13%	0.19%	-0.28%	-0.18%	-0.16%	-0.06%
გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები	0.94%	2.02%	-0.49%	-0.42%	-0.01%	-0.11%	-0.05%
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება	9.21%	10.23%	-0.04%	-0.48%	-0.25%	-0.16%	-0.07%
განათლება	-1.04%	-0.04%	-0.21%	-0.31%	-0.28%	-0.16%	-0.04%
ჯანდაცვა და სოციალურისერვისები	-1.42%	0.25%	-0.13%	-0.34%	-0.30%	-0.57%	-0.32%
სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება	0.41%	1.04%	0.02%	-0.15%	-0.28%	-0.11%	-0.10%

ცხრილი 2.2.3: სხვაობა ესტონეთსა (2000) და საქართველოს (2014) შორის ფირმების განაწილებაში¹⁷

¹⁷ USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assessment on Estonian CIT Model Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

სხვაობის ცხრილის მიხედვით, თუ უფრო აგრირებულ დონეზე დავაკვირდებით ესტონეთისა და საქართველოს ფირმების განაწილების მონაცემებს დავინახავთ, რომ მცირე ფირმების (1-9 დასაქმებული)წილში, რომელიც 2000 წელს ესტონეთში ბევრად მაღალი იყო, ვიდრე ამჟამადაა საქართველოში. ამავდროულად, ესტონეთში ფირმების მეტი წილი მოდის უძრავი ქონების, იჯარისა და უძრავი ქონებისა და ბიზნეს მომსახურების სექტორში, ვიდრე დღეს საქართველოში. თუმცა, თუ უფრო დიფერენცირებულ დონეზე გადავალთ და ფირმების ზომასა და სექტორს ერთად განვიხილავთ დავინახავთ, რომ ზომაში განსხვავება ძირითადად უძრავი ქონების, იჯარისა და ბიზნეს მომსახურების დარგებში დაკავებული მცირე ფირმების წილში სხვაობისგან მომდინარეობს. ეს განსხვავება შეიძლება იმით ავხსნათ, რომ საქართველოს უძრავი ქონების სექტორი დღეს უფრო განვითარებულია, ვიდრე ეს იყო ესტონეთში 2000 წელს, შესაბამისად, საქართველოში დღეს ამ დარგში უფრო მსხვილი ფირმები ფუნქციონირებს, ან მეორე, ამ სექტორში მიმდინარე გარკვეული ბიზნეს აქტივობა არ არის აღრიცხული საქართველოში. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში განხვავება ფირმების ზომისა და დარგების მიხედვით სერიოზულია.

გამოთქმული არგუმენტის განზოგადოებისათვის ერთმანეთს უნდა შევადაროთ ორივე ქვეყნაში ზომისა და დარგების მიხედვით ფირმების განაწილების სამი წლის საშუალო მონაცემები და შევადაროთ ერთმანეთს. ესტონეთის მაგალითის განხილვისას ვიღებთ 1998-2000 წლების საშუალო მაჩვენებლებს, ხოლო საქართველოს- 2012-2014წლების მონაცემებს. შედეგების თვალსაჩინოებისათვის მოცემულია ცხრილი:

ეკონომიკური სექტორი/ზომა	სულ	1-9	10-19	20-49	50-99	100-249	250+
სულ	0%	15.16%	-2.30%	-5.67%	-3.31%	-2.61%	-1.28%
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყვეობა	3.03%	1.99%	0.44%	0.46%	0.13%	0.03%	-0.03%
თევზჭერა	0.33%	0.28%	0.02%	0.01%	0.00%	0.01%	0.00%
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	-0.92%	-0.53%	-0.19%	-0.17%	-0.03%	-0.01%	0.01%
დამამუშავებელი მრეწველობა	-2.41%	-1.27%	-0.18%	-0.49%	-0.33%	-0.09%	-0.04%

ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება, წყალმომარაგება	0.21%	0.24%	0.12%	0.04%	-0.07%	-0.07%	-0.05%
მშენებლობა	-1.73%	1.28%	-0.27%	-1.15%	-0.88%	-0.47%	-0.23%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	-4.20%	1.06%	-1.50%	-2.25%	-0.82%	-0.47%	-0.22%
სასტუმროები და რესტორნები	0.27%	0.75%	0.12%	-0.17%	-0.19%	-0.17%	-0.06%
გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები	0.50%	1.71%	-0.50%	-0.46%	-0.06%	-0.12%	-0.07%
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება	7.24%	8.44%	-0.04%	-0.55%	-0.27%	-0.24%	-0.08%
განათლება	-0.90%	0.18%	-0.18%	-0.35%	-0.29%	-0.22%	-0.04%
ჯანდაცვა და სოციალური სერვისები	-1.57%	0.18%	-0.11%	-0.37%	-0.27%	-0.62%	-0.37%
სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება	0.14%	0.86%	-0.02%	-0.22%	-0.22%	-0.14%	-0.11%

ცხრილი 2.2.4 სხვაობა ზომისა და დარგების მიხედვით ფირმების განაწილებაში, სამი წლის საშუალო მაჩვენებელი

ფირმების ზომისა და დარგების მიხედვით განაწილების სამი წლის საშუალო მონაცემების შედარება ცხადყოფს მსგავსებას მოგების საგადასახადო სისტემის რეფორმამდელ ესტონეთსა და დღევანდელ საქართველოს შორის. ამ მონაცემების მიხედვითაც, მცირე ფირმების შემთხვევაში (1-9 თანამშრომელი) ყველაზე დიდი სხვაობა უძრავი ქონებისა და ბიზნეს მომსახურების სექტორში აღინიშნება, სწორედ ამიტომ, ფირმების მახასიათებლების, ზომისა და დარგბოს განაწილების შედარებით მიღებული შედეგი რეფორმის საწინააღმდეგო არგუმენტი ვერ იქნება.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებთან ერთად საინტერესოა ორ ქვეყანაში მთლიან აქტივებთან მიმართებაში ნაღდი ფულისა და ვალდებულებების კოეფიციენტები და მათი შედარება.

ეკონომიკური სექტორი/ზომა	ნაღდი ფული/მთლიანი აქტივები		ვალდებულებები/მთლიანი აქტივები	
	საქართველო	ესტონეთი	საქართველო	ესტონეთი
სულ	9.58%	7.36%	32.14%	53.89%
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყვეობა	6.76%	4.94%	27.44%	55.51%
თევზჭერა	5.52%	3.54%	47.54%	88.39%
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	9.86%	3.43%	27.68%	34.26%
დამამუშავებელი მრეწველობა	7.76%	6.10%	32.22%	57.90%
ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება, წყალმომარაგება	8.35%	1.78%	34.48%	18.86%
მშენებლობა	14.77%	16.36%	32.37%	63.55%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	7.84%	8.96%	35.53%	71.50%
სასტუმროები და რესტორნები	8.13%	8.04%	27.99%	61.38%
გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები	15.46%	9.11%	30.32%	50.91%
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება	12.76%	8.63%	26.13%	62.83%
განათლება	11.42%	37.13%	26.94%	65.64%
ჯანდაცვა და სოციალური სერვისები	9.04%	13.58%	26.40%	47.08%
სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება	12.09%	13.91%	24.94%	67.10%

ცხრილი 2.2.5. მთლიან აქტივებთან მიმართებაში ნაღდი ფულისა და ვალდებულებების კოეფიციენტები საქართველოსა (2013-2014 წლების საშუალო მაჩვენებელი) და ესტონეთში (1999-2000 წლების საშუალო მაჩვენებელი)

მთლიან აქტივებთან მიმართებაში ნაღდი ფულის საშუალო კოეფიციენტი საქართველოში ოდნავ მეტია, ვიდრე რეფორმამდელ ესტონეთში იყო. მნიშვნელოვანი

განსხვავებაა სამთო-მომპოვებელ, ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდებისა და წყალმომარაგების, ასევე განათლების სექტორებში, დანარჩენ სფეროებში განხვავება უმნიშვნელოა. მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნება მთლიან აქტივებთან მიმართებით ვალდებულებების კოეფიციენტში. ესტონეთში 1999-2000 წლებში ყველა სექტორში საშუალო მაჩვენებელი 54% იყო, ხოლო საქართველოში 2013-2014 წლებში იგივე თანაფარდობა 32%-ია. რთულია განვსაზღვროთ მთლიან აქტივებთან მიმართებაში ვალდებულებების კოეფიციენტი, მაგრამ თუ გადავხედავთ 2014 წელს საქართველოში სხვადასხვა ზომის ფირმებისთვის იგივე კოეფიციენტებს, შესაძლოა სავარაუდო პასუხი ვიპოვოთ.

მთლიან აქტივებთან	1-9	10-19	20-49	50-99	100-249	250+
მიმართებაში ვალდებულებების კოეფიციენტი						
სულ	14.11%	24.56%	27.39%	31.82%	32.81%	37.19%

ცხრილი 2.2.6. : მთლიან აქტივებთან მიმართებაში ვალდებულებების კოეფიციენტი

მთლიან აქტივებთან მიმართებაში ვალდებულებების ყველაზე დაბალი კოეფიციენტი მცირე ფირმებს აქვთ, რაც შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ მათ გარე დაფინანსებაზე უფრო ნაკლებად მიუწვდებიან ხელი. საქართველოსათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, მიუხედავად ბოლო წლებში მისი შემცირების ტენდენდიცაა, ის კვლავ საკმაოდ მაღალია. 1996-2000 წლებში ესტონეთში სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 12%-ს შეადგენდა, ხოლო იმ წელს, როცა საგადასახადო სისტემის ცვლილება განხორციელდა, ის 7.4% იყო. 2010-2014 წლებში საქართველოში სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 14,22%-ის ტოლი იყო.

ბაზიხმა და ფუნფციგმა (2012), გამოიყენეს დიაგნოსტიკის მეთოდი საქართველოს ეკონომიკისათვის და დაასკვნეს, რომ კერძო ინვესტიციებისა და კაპიტალის დაგროვების დაბალი დონე, რაც გარე დაფინანსების მაღალი ღირებულებით არის გამოწვეული, შეიძლება მდგრადი ეკონომიკური ზრდის სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორად

ჩაითვალოს. მაღალი საფინანსო ხარჯების (რომლებიც შემფოთების საგანს წარმოადგენენ, რადგან კაპიტალის დაგროვებას და, მაშასადამე, ეკონომიკურ ზრდას აფერხებენ) სხვადასხვა შესაძლო დეტერმინანტების გაანალიზების შემდეგ ავტორებმა კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების ძირითადი მიზეზები განსაზღვრეს: სუსტი საკუთრების უფლებები და პოლიტიკური და ინსტიტუციური არასტაბილურობა. მოკლევადიან პერსპექტივაში რთულია ზრდის ამ დამაბრკოლებელი ფაქტორების ეფექტის შერბილება, ამიტომაც გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმება შეიძლება მოკლევადიან პერსპექტივაში მათი შემსუბუქების ეფექტურ საშუალებად ჩაითვალოს, რაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

2012-2014 წლებში საქართველოში შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 4%-ს შეადგენდა, ხოლო ესტონეთში საგადასახადო პოლიტიკის შეცვლამდე (1998-2000 წლები) დაახლოებით 9% იყო. დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შრომის ნაყოფიერების ზრდა, % (რეალური)	საქართველო				ესტონეთი			
	2012	2013	2014	საშუალო	1998	1999	2000	საშუალო
სულ	0.12	0.08	-0.06	0.04	0.07	0.00	0.21	0.09
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყვეობა	-0.09	0.12	-0.09	-0.02	0.30	0.03	0.49	0.26
თევზჭერა	0.27	-0.04	2.92	0.68	-0.03	0.24	0.43	0.19
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	-0.12	0.08	0.48	0.12	-0.21	0.10	0.18	0.01
დამმუშავებელი მრეწველობა	0.04	0.12	0.07	0.08	0.04	- 0.05	0.15	0.05
ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდება, წყალმომარაგება	-0.06	-0.09	0.27	0.03	-0.10	0.20	0.39	0.15
მშენებლობა	0.34	-0.16	0.46	0.18	0.25	- 0.11	0.21	0.11

საბითუმო და საცალო ვაჭრობა	0.23	-0.01	-0.13	0.02	0.04	-0.05	0.21	0.06
სასტუმროები და რესტორნები	0.16	0.25	-0.06	0.11	0.00	0.04	0.14	0.06
გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები	-0.04	0.06	-0.03	0.00	0.12	0.17	0.26	0.18
უძრავი ქონება, იჯარა და ბიზნეს მომსახურება	-0.24	0.32	0.14	0.05	0.01	0.02	0.01	0.01
განათლება	0.02	0.10	0.07	0.06	0.48	-0.10	0.10	0.14
ჯანდაცვა და სოციალური სერვისები	0.12	0.56	-0.28	0.08	0.01	-0.03	0.08	0.02
სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება	0.19	-0.05	0.14	0.09	0.29	-0.07	0.23	0.14

ცხრილი 2.2.7.: შრომის ნაყოფიერების რეალური ზრდა საქართველოსა და ესტონეთში

ვარაუდი იმის შესახებ, რომ შრომის დაბალი ნაყოფიერება საქართველოში რეფორმისგან მოსალოდნელ ეფექტს შეასუსტებს შესაძლებელია, თუმცა ეს არ არის სერიოზული არგუმენტი, რადგან რეფორმამდელ საგადასახადო სისტემაში არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს შეუწყობდა.

ფირმების დონეზე სხვადასხვა მონაცემის შედეგად ჩანს, რომ ფირმების განაწილება ზომისა და სექტორების მიხედვით საქართველოში ესტონეთის მსგავსია, ასევე, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მთლიან აქტივებთან მიმართებაში ნაღდი ფულის საშუალო კოეფიციენტი. რაც შეეხება, მთლიან აქტივებთან მიმართებით ვალდებულებების საშუალო კოეფიციენტს, ის საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს იყო ესტონეთში 200 წლამდე, მაგრამ ეს სხვაობა აძლიერებს რეფორმისგან მისაღებ ეფექტებს საქართველოში. საქართველოში გარე დაფინანსებაზე წვდომა უფრო რთულია დღეს, ვიდრე ეს იყო რეფორმამდელ ესტონეთში, ამ გარემოების შეფერხებას კი შესაძლოა ხელი შეუწყოს გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმებამ.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებთან ერთად, საინტერესოა ერთმანეთს შედარდეს ესტონეთის კორპორაციული საშემოსავლო გადასახდის მიღებამდე არსებული ინსტიტუციური გარემო საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობასთან.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველოს ქულა ამჟამად 73.0-ს შეადგენს (0-დან 100-მდე შკალაში), ხოლო ესტონეთის 2000 წელს 69.9 იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის თავისუფლების საერთო მაჩვენებლებს შორის მკვეთრი განსხვავება არ არის, თუ ამ ინდექსის კომპონენტებს დავუკვირდებით გარკვეულ შეუსაბამობას შევამჩნევთ

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	ესტონეთი		საქართველო	
	წელი	ინდექსი	წელი	ინდექსი
	1997	69,1	2012	69,4
	1998	72,5	2013	72,2
	1999	73,8	2014	72,6
	2000	69,9	2015	73

ცხრილი 2.2.8.: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საქართველოსა და ესტონეთში

წყარო: 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი¹⁸

ღია ბაზრები- ვაჭრობის თავისუფლების ინდექსი 2015 წელს საქართველოში 88.6 იყო, ხოლო ესტონეთში იგივე მონაცემი 85-ს შეადგენდა. აღნიშნულ მონაცემთა შორის არ აღინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა საინვესტიციო თავისუფლება, რაც მიუთითებს თუ რამდენად ეფექტურად და თავისუფლად შეუძლიათ ფირმებს მათი ფინანსური რესურსების განაწილება, გვიჩვენებს რომ სხვაობა დაახლოებით 10 პუნქტია

ღია ბაზრები	ესტონეთი	საქართველო
-------------	----------	------------

¹⁸2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ვაჭრობის თავისუფლება	1997	72	2012	89.2
	1998	83	2013	89.2
	1999	85	2014	88.6
	2000	85	2015	88.6
საინვესტიციო თავისუფლება	1997	90	2012	70
	1998	90	2013	75
	1999	90	2014	80
	2000	90	2015	80
ფინანსური თავისუფლება	1997	70	2012	60
	1998	70	2013	60
	1999	70	2014	60
	2000	70	2015	60

ცხრილი 2.2.8. ღია ბაზრები საქართველოსა და ესტონეთში

კანონის უზენაესობა საქართველოსა და ესტონეთს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიხატება საკუთრების უფლების შედრებისა, ეს მაჩვენებელი საქართველოში 2012-2015 წლებში 40 ქულას შეადგენდა, ხოლო ესტონეთში საკუთრების თავისუფლების ინდექსი 70 ქულის ტოლი იყო. ეს განსხვავება მიუთითებს, რომ საქართველოში საკუთრების უფლება სუსტად არის დაცული. ასევე, კორუფციისგან თავისუფლება მიუხედავად არაერთი რეფორმისა საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება, მაშინ როცა 2012 წელს მისი მაჩვენებელი 38 იყო 2015 წელს გაიზარდა და 49 შეადგინა. ესტონეთში კი 2000 წელს ეს მაჩვენებელი 57-ს შეადგენდა.

კანონის უზენაესობა	ესტონეთი		საქართველო	
საკუთრების თავისუფლება	1997	70	2012	40
	1998	70	2013	45
	1999	70	2014	40

	2000	70	2015	40
კორუფციისგან თავისუფლება	1997	50	2012	38
	1998	70	2013	41
	1999	70	2014	42.8
	2000	57	2015	49

ცხრილი 2.2.8. კანონის უზენაესობა საქართველოსა და ესტონეთში

განვიხილოთ კორუფციის აღქმის ინდექსი, რომელიც გაანგარიშებულია საერთაშორისო გამშვირვალობის მიერ. ინდექსი მიუთითებს, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება ქვეყნის საჯარო სექტორი და ქვეყანას ამ მაჩვენებლის მიხედვით აფასებს. ინდექსის მიხედვით, 2014 წელს საქართველო 50-ე ადგილზე იყო, ხოლო 2000 წელს ესტონეთი 27-ე (რაც უფრო დაბლაა ქვეყანა, მით უფრო ნაკლებად კორუმპირებულია იგი). ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საქართველოში კორუფციის თვალსაზრისით უარესი სიტუაციაა, ვიდრე ეს იყო ესტონეთში 1998-2000 წლებში.

გლობალური კორუფციის ინდექსის მიხედვით ესტონეთს 2014-2015 წლებში 144-ე ქვეყანას შორის 29-ე ადგილი უკავია (აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო მაჩვენებელია). ესტონეთი ძლიერი, გამჭვირვალე და ეფექტური ინსტიტუტებით გამოირჩევა, ქვეყანაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო და განათების მაღალი დონეა. საქართველო იგივე მაჩვენებლით 69-ე ადგილზეა. ყველაზე პრობლემურია, რომ ბიზნესის წარმატებით განსახორციელებლად არ არსებობს შესაბამისი განათლების მქონე სამუშაო ძალა, რთულია ბიზნესის წვდომა დაფინანსებაზე.

მნიშვნელოვანია გლობალური დემოკრატიის დონის განსაზღვრა. დემოკრატიის რეიტინგი აფასებს ქვეყნების დემოკრატიის დონეს. მთავარი ფორმულა: დემოკრატიის ხარისხი = (თავისუფლება და პოლიტიკური სისტემის სხვა მაჩვენებლები) და (არაპოლიტიკური განზომილებების მახასიათებლები). არაპოლიტიკური განზომილებებია: გენდერი, ეკონომიკა, ინფორმირებულობა, ჯანდაცვა, და გარემოს დაცვა. არაპოლიტიკური განზომილებებია: გენდერი, ეკონომიკა, ინფორმირებულობა, ჯანდაცვა და გარემოს დაცვა.

რეიტინგის სტრუქტურული შემადგენლობა და წონა შემდეგია: პოლიტიკა (50%); გენდერი (10%); ეკონომიკა (10%); ინფორმირებულობა(10%); ჯანდაცვა (10%) და გარემოს დაცვა (10%) .

რეიტინგის მიხედვით ესტონეთს საქართველოსთან შედარებით ბევრად უკეთესი მაჩვენებლები აქვს. 2000 წელს გლობალური დემოკრატიის მაჩვენებელი ესტონეთში 65,51-ს (100 ქულიდან) შეადგენდა, ხოლო 2013 წელს საქართველოში იგი 56.9 იყო.

რეფორმის პროგნოზების შედარება ესტონეთისა და საქართველოს შემთხვევებში

	ჩაკეტილი ეკონომიკა	
	ესტონეთი	საქართველო
კაპიტალი	+10.2%	+3.23%
მთლიანი მოხმარება	+1.2%	+0.83%
მთლიანი წარმოება	+4.0%	+1.44%
მთავრობის მიერ გადასახადების აკრეფა	-4.0%	-2.71%
	ღია ეკონომიკა	
	ესტონეთი	საქართველო
კაპიტალი	+10.2%	+3.23%
მთლიანი მოხმარება	+1.4%	+0.84%
მთლიანი წარმოება	+4.0%	+1.44%
მთავრობის მიერ გადასახადების აკრეფა	-3.0%	-2.52%

ცხრილი 2.2.9.: რეფორმის პროგნოზების შედარება ესტონეთისა და საქართველოს შემთხვევებში¹⁹

¹⁹ USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assessment on Estonian CIT Model Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

როგორც ცხრილიდან ჩანს, მაკროეკონომიკურ ცვლადებზე რეფორმის გავლენა ზომიერია. საქართველოში ინვესტიციებზე სასიკეთო გავლენა გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს იყო ესტონეთში, რაც განაპირობებს პროგნოზირებულ ეფექტებში განსხვავებებს. ესტონეთში მოგების გადასახადის განაკვეთი 26% შეადგენდა, ხოლო საქართველოში გაუქმდა 15%-იანი განაკვეთი. თუ 15%-იან განაკვეთს რეფორმამდე ესტონეთში არსებულ სიტუაციაზე დავაწესებთ, მაშინ რეფორმის შემდეგ შემდეგ მთლიანი წარმოება მხოლოდ 2%-ით, მთლიანი მოხმარება 0.5%-ით, ხოლო კაპიტალი 5.1%-ით გაიზრდებოდა. სხვა განსხვავებები შედეგებიდან ეკონომიკური მახასიათებლებიდან გამომდინარეობს.

სხვადასხვა მონაცემების შედარება შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო საკუთრების კუთხით საქართველოსა და ესტონეთს შორის. ეს ცვლადები ქვეყნის რისკის პრემიის განსაზღვრისას უმთავრესია. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია რისკის პრემია, მაღალია საპროცენტო განაკვეთი და კრედიტებზე ხელმისაწვდომობა რთულია. თუმცა, ეს განსხვავება ესტონური მოდელის განხორციელების შედეგს არ შეასუსტებს საქართველოში და მისგან მიღებული დადებითი ეფექტი უფრო თვალსაჩინო იქნება, გამომდინარე იქედან, რომ გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმება საკუთრების დაცვისა და დემოკრატიის დაბალი დონით გამოწვეულ შეზღუდვებს შეარბილებს. მრავალი თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკა უფრო ელასტიურია და ახალ პირობებთან შეგუების კარგი უნარი აქვს, რადგან ბიზნესის, შრომისა და მონეტარული თავისუფლების დონე დღესდღეობით საქართველოში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ეს იყო რეფორმამდე ესტონეთში.

Usaid-ისა და G4G-ის საშუალებით ჩატარებული კვლევის მიხედვით გაანალიზდა ესტონეთსა და საქართველოს ბიზნეს და ინსტიტუციური გარემოს შედარებითი კვლევა, რის შედეგადაც შეიძლება გამოვყოთ:


- ფირმები განაწილების სფეროსა და ზომის მიხედვით, ესტონური განაწილების მსგავსია.
- საშუალოდ ნაღდი ფულის თანაფარდობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

- საქართველოში ვალდებულებების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს იყო საგადასახადო რეფორმამდე ესტონეთში, მაგრამ ეს განსხვავება აძლიერებს ესტონეთის საგადასახადო რეფორმის ანალოგიური რეფორმის მოსალოდნელ დადებით ეფექტებს საქართველოში, ვინაიდან საქართველოში გარე დაფინანსებაზე დაწესებული შეზღუდვები ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე ეს იყო რეფორმამდე ესტონეთში. გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმებამ შესაძლოა ეკონომიკური ზრდის ამ შემაფერხებელი ფაქტორის შერბილებას შეუწყოს ხელი.
- სხვადასხვა გლობალური მაჩვენებლების შედარება ცხადყოფს, რომ საქართველოსა და ესტონეთში კერძო საკუთრების დაცვისა და დემოკრატიის დონე განსხვავებულია. ეს ცვლადები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის რისკის პრემიაში, რომელიც სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. თუმცა, ზემოთ აღნიშნული განსხვავებები არათუ არ შეასუსტებს გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმების პოტენციურ ეფექტებს, არამედ პირიქით, გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმება პოზიტიურ სტიმულს მისცემს ინვესტორთა მოლოდინებს. უფრო მეტიც, მრავალი თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკა უფრო ელასტიურია და შესწევს გადაწყობის უნარი, ვინაიდან ბიზნესის, შრომისა და მონეტარული თავისუფლების დონე დღეს ბევრად უფრო მაღალია საქართველოში, ვიდრე ეს იყო რეფორმამდე ესტონეთში.

ესტონური მოდელი საქართველოსთვის მრავალი კუთხით ეფექტის მომტანი იქნება, ამაზე თანხმდებიან ექსპერტებიც, რადგან მოდელი ორიენტირებულია ეკონომიკის ზრდაზე და გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. მომგებიან კომპანიებს რეფორმის შემდეგ შესაძლებლობა ექნებათ მოახდინონ თანხების აკუმულირება და მათი ლიკვიდურობის გაზრდა, გაზრდილი ფინანსური სახსრებით კი შესაძლებლობა ექნებათ მოახდინონ რეინვესტირება.

საინტერესოა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხილვა რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. რა გავლენა მოახდინა კორპორაციული გადასახადის გაუქმებამ

უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საბოლოო სურათი რამდენიმე წლის შემდეგ მიიღება.



ცხრილი 2.2.10.: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2018წწ.

როგორც ცხრილიდან ჩანს 2017 წლის მაჩვენებელი წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება. თუმცა 2018 წელს აღინიშნება კლება, რაც არა მხოლოდ 2017 წლის მაჩვენებელზე არამედ 2016 წლის მაჩვენებელზე ნაკლებიცაა და მხოლოდ 2013 წლის მაჩვენებელს უსწრებს.

თავი მესამე. თავი მესამე. მოგების გადასახადის ესტონური მოდელის გავლენის შეფასება (RIA)

3.1 მოგების გადასახადის რეფორმის ანალიზი

მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ბიზნეს სექტორის და ექსპერტების ნაწილი მას მიიჩნევს ინვესტიციების სტიმულირების ეფექტურ მექანიზმად და გრძელვადიან პერიოდში საგადასახადო შემოსავლების გაზრდის საშუალებად.

რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მოგების გადასახადის ახალ რეფორმას?

- რეინვესტირებული მოგება იძლევა იმის საშუალებას რომ რეფორმა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს შეუქმნის იურდიულ პირებს, რადგან მოგება საწარმოს განკარგულებაში რჩება მის საბოლოო განაწილებამდე ან ქვეყნიდან გატანის მომენტამდე, რაც ზრდის მათ წვდომას ფულად სახსრებზე. თუ აქამდე ფირმა მოგების გადასახადს იხდიდა, ახლა მას შესაძლებლობა მიეცა ეს დასაბეგრი მოგება გამოიყენოს, ჩააბრუნოს კომპანიაში, ანუ მოახდინოს მისი რეინვესტირება. ამ ყოველივეს შედეგად ბიზნესს გაუჩნდება მეტი ფინანსური რესურსი დაუბეგრავი მოგების სახით, რომელსაც იგი გამოიყენებს ბიზნესის გასაფართოვებლად, საშუალება უჩნდება რომ შეამციროს დამოკიდებულება მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე, გაზარდოს წარმოება, დაასაქმოს მეტი ადამიანი, რაც პირდაპირ ზეგავლენას მოახდეს უმუშევრობის დონის შემცირებაზე. ყოველივე ეს კი საბოლოოდ მიგვიყვანს გაზრდილ ბიუჯეტამდე.
- საშუალოვადიან პერსპექტივაში, რეფორმა უკვე თითქმის ყველა ეკონომიკურ ფაქტორზე დადებითად იმოქმედებს. გაიზრდება მოხმარება, რაც გაზრდის შემოსავლებს. ეკონომიკის ზრდის ტემპი ხელს შეუწყობს მშპ-ს ზრდას. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები შემცირდება, რაც აისახება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე.

მოგების გადასახადის უარყოფითი მხარეები და სირთულეები:

- პირველი წლების განმავლობაში, მოგების გადასახადის რეფორმამ უნა მოახდენინოს განსხვავებული ეფექტები ეკონომიკურ ფაქტორებზე. შემცირდება მოხმარება, ასევე შემცირდება ეკონომიკური ზრდა და მშპ, გაიზრდება საპროცენტო განაკვეთი. თუმცა აქაც აღსანიშნავია ისიც რომ საბოლოოდ ეს დადებითად აისახება ინფლაციაზე და მისი მაჩვენებელი დაიწევს, რადგან გაჩნდება მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე, ქვეყანაში კი ის ჭარბ მიმოქცევაში აღარ იქნება, რაც საბოლოო ჯამში გაამყარებს ლარს. ასევე დადებითი ეფექტს მოახდენს საგადასახდლო ბალანსზე.
 - შემოსავლების მიღება გადაუვადდება ქვეყნის ბიუჯეტსაც. USAID-ის მხარდაჭერით მომზადებული კვლევის მიხედვით, პროგნოზირებული იყო რომ საბიუჯეტო შემოსავლები 3%-ით შემცირდება, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით კი 2017 წლის საბიუჯეტო შემოსავლები 500-900 მლნ ლარით შემცირდებოდა.²⁰ რეფორმა იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, რაც გამოიხატება შემცირებული ბიუჯეტით. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას უწევს გადახედოს ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს, რომ მიზნობრივად შეამციროს სახელმწიფო ხარჯები.
 - კომპანიებისთვის საგადასახადო ადმინისტრირება რთულდება რადგან ნაცვლად ყოველწლიურისა აღნიშნული გადასახადი ხდება ყოველთვიური. ყოველთვიური დეკლარაციის ჩაბარება საკმაოდ შრომატევადი იქნება პატარა კომპანიებისთვის, რადგან ერთი დეკლარაციის ნაცვლად მოუწევთ 12 დეკლარაციის წარდგენა. პატარა კომპანიებს გარკვეულწილად ურთულდებათ საქმიანობა, რადგან უწევთ ბუღალტრის დაქირავება, რომელსაც უფრო მეტი საქმე დაეკისრება. ისედაც შეზღუდული ხარჯების პირობებში მათ მეტი თანხის გამოყოფა მოუწევთ კვალიფიციური ბუღალტრისთვის
- მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებით ესტონეთის გადასახადის გადამხდელებს ესაჭიროებათ 20 საათი ყოველწლიურად რათა შეავსონ მოგების გადასახადის

²⁰ კილასონია, შ., „მოგების გადასახადის რეფორმა. მიტები და სინამდვილე“, 2016, <http://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdviLe>

დეკლარაცია. ანალოგიურ დეკლარაციას ირლანდიაში უთმობენ დაახლოებით 12 საათს, ნორვეგიაში 15ს, ლიტვაში 28 საათს. რაც შეეხება საქართველოს საშუალოდ მოგების გადასახადის დეკლარაციის შევსებაზე იხარჯება 191 საათი.

- ნებისმიერი დანაკლისი რომელსაც მოგების გადასახადის რეფორმა გამოიწვევს უნდა დაკომპენსირდეს, დაბალანსდეს ალტერნატიული შემოსავლებით ან სწრაფად მზარდი ეკონომიკური ზრდით. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მოგების გადასახადის რეფორმის წინაშე ესაა, ფასი, რომელსაც იხდიან გადასახადების გადამხდელები.
- საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, მოდელი ახდენს კაპიტალის დაგროვების სტიმულირებას ძირითად საშუალებათა შეძენის წელს საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვის გზით, რის შემდეგაც გადასახადის გადამხდელთა უმრავლესობას შეუძლია 100%-იანი ამორტიზაციის სისტემის მეშვეობით გადადოს კორპორაციული მოგების გადასახადი. გადასახადის გადამხდელნი ამ რეფორმას უკვე მიეჩვივნენ და რთლი იქნება ახალ მოდელზე გადასვლა, ამიტომაც ახალ სისტემასთან ადაპტაციისთვის დროა საჭირო.
- ახალი მოდელით წინასწარ ხდება მაგალითად სესხებისა და ოფშორულ კომპანებთან ურთიერთობის დაბეგვრა. კომპანიებს წინასწარ უძვირდება სესხიც და ოფშორთან ურთიერთობაც
- რიგი შეუსაბამოებები დაკავშირებულია ორმაგ დაბეგვრასთან. საქართველოს 21 ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება, დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადის წყაროსთან. თუ კორპორაციულ მოგების გადასახადი უნდა დაიბეგროს 20%-იანი განაკვეთით, მაშინ ინვესტორებს მოუწევთ მეტის გადახდა, ვიდრე იხდიან დღეს. თუ განვიხილავთ გარკვეულ შემთხვევებს, მაგალითად: გადასახადის გადამხდელს აქვს ფინანსური მოგება, მაგრამ საგადასახადო მიზეზებით განიცდის დანაკარგებს (რაც 100%-იანი ამორტიზაციის სისტემით არის განპირობებული); იმავდროულად ინვესტორი იმ ქვეყნის რეზიდენტი, რომელთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმაგი დაბეგვრის

ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საქართველო შეზღუდულია დაბეგრის დივიდენდები გადახდის წყაროსთან; ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს შეუძლია გადასახადების გადახდის გარეშე მიიღოს დივიდენდი (კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი და დივიდენდებზე გადასახადის დაკავება).

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ერთ წელზე მეტ ხანს მუშაობდა რათა საფუძვლიანად შეესწავლა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. ქართველებს კონსულტაციას უწევდნენ ესტონელები. ასევე, შედგა საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში, სადაც დეტალურად გაეცნენ აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებას.

საქართველოში საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელის დანერგვას, ამ მიმართულებით რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი (RIA), USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში მომზადდა. ანგარიშის მიხედვით, მოგების გადასახადის რეფორმა ამოქმედებიდან საქართველოს ეკონომიკაზე შემდეგი მიმართულებებით მოახდენს გავლენას:

- გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, 3,23%-ით გაიზრდება კაპიტალის მოცულობა;
- რეფორმის დადებითი ეფექტი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელში 1,44 %-ით აისახება.
- მოსალოდნელია მთლიანი კერძო მოხმარების 0.85 %-იანი ზრდა;
- რეფორმის შედეგად წლიური საბიუჯეტო დეფიციტის 3%-მდე გაზრდაა მოსალოდნელი. ანგარიშის მიხედვით, მთავრობას შეუძლია აღმოფხვრას ეს დისბალანსი, თუ საშემოსავლო გადასახადს 1 პროცენტული პუნქტით ან დღგ-ს 1,25% პროცენტული პუნქტით გაზრდის. თუმცა მოგების გადასახადის კლებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგების ასანაზღაურებლად გაცილებით ოპტიმალური და რეკომენდებული გზა საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაა.

- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მცირედით შემცირდება. დივიდენდების ნაწილი, რომელთა გადინებაც საზღვრებს გარეთ ხდებოდა საქართველოში დარჩება.²¹

დღგ-ს განაკვეთის ცვლილება განიხილება როგორც ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი გზა მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად საგადასახადო შემოსავლების შემცირების საკომპენსაციოდ. ზემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია დღგ-ს მაკომპენსირებელი განაკვეთები სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში.

	2017	2018	2019
სცენარი 1			
რეინვესტირების ნორმა	40%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-475	-167	-141
დღგ-ს მაკომპენსირებელი განაკვეთი	20.1%	18.7%	18.6%
სცენარი 2			
რეინვესტირების ნორმა	50%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-580	-204	-173
დღგ-ს მაკომპენსირებელი განაკვეთი	20.5%	18.9%	18.8%
სცენარი 3			
რეინვესტირების ნორმა	60%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-686	-242	-204
დღგ-ს მაკომპენსირებელი განაკვეთი	20.9%	19.1%	18.9%
სცენარი 4			
რეინვესტირების ნორმა	70%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-791	-279	-235
დღგ-ს მაკომპენსირებელი განაკვეთი	21.4%	19.3%	19.1%
სცენარი 5			
რეინვესტირების ნორმა	80%		
საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ ლარი)	-897	-316	-267
დღგ-ს მაკომპენსირებელი განაკვეთი	21.9%	19.5%	19.2%

ცხრილი 3.1.1.: რეფორმის მაკომპენსირებელი დღგ-ს განაკვეთი.²²

²¹ USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assessment on Estonian CIT Mdel Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

²² USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assessment on Estonian CIT Mdel Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

50 პროცენტის რეინვესტირების ნორმის შემთხვევაში დღგ-ს განაკვეთი შედარებით მცირედ შეიცვლება, რათა დააკომპენსიროს საგადასახადო შემოსავლების შემცირება.

თუმცა, დღგ-ს განაკვეთის კორექტირება დამატებით სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რადგან კომპანიებისთვის დამატებით ხარჯს წარმოქმნის და შესაძლოა აზრი დაუკარგოს მათთვის მინიჭებულ საგადასახადო შეღავათებს.

ვფიქრობთ, უფრო მისაღები იქნება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კორექტირება და კომპანიებისთვის დამატებითი საგადასახადო ტვირთის თავიდან არიდება.

2019 წელს შეგვიძლია ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებების შედარება რეალობასთან.

მოლოდინი	რეალური შედეგი
მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა - 1,44%	მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა - 4.7%
საბიუჯეტო დეფიციტი - გაიზარდა 3%-მდე	საბიუჯეტო დეფიციტი - 2.9%

ახალი მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი, რა თქმა უნდა, საგადასახადო შემოსავლების კლებაა. ბიუჯეტის შემოსულობები მეტწილად საგადასახადო შემოსავლებზეა დამოკიდებული. ესტონეთში 2015 წელს დამატებული ღირებულების გადასახადმა საგადასახადო შემოსავლების 45 პროცენტი, საშემოსავლო გადასახადმა 27 პროცენტი, ხოლო მოგების გადასახადმა 13 პროცენტი შეადგინა. თუ, საქართველოში, ესტონეთის მსგავსად, საწარმოები მოგების 50 პროცენტის რეინვესტიციას მოახდენენ და, შესაბამისად, არ დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მოგების გადასახადის სახით, დაახლოებით, 540 მლნ. ლარი დააკლდება.

სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს უარყოფითი ფისკალური ეფექტის ნეიტრალიზაცია სხვადასხვა გზით:²³

- რეფორმა წარმოშობს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს თუმცა წონასწორობის მიღწევის შემდეგ დეფიციტის გადაფარვა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე წელიწადში მოხდება - ჩაურევლობა
- მოგების გადასახადის პროცენტული პუნქტით გაზრდა

²³თბილისი 2016; რეგულირების გავლენის ანალიზი (RIA) საქართველოში: გაუნაწილებელი. მოგების გადასახადის რეფორმა; მაია გრიგოლია; PMC კვლევითი ცენტრი.
https://idfi.ge/public/upload/Meri/Tako%20Iakobidze/november_8_ppd_workshop_idfi_pmcg_presentation.pdf

- დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული პუნქტით გაზრდა
- საბიუჯეტო ხარჯების შემცირება

ექსპერტთა მოსაზრებებით „ამჟამად ბიუჯეტში შედის მოგების გადასახადი 900 მილიონი ლარი. მოგების გადასახადისგან გათავისუფლების შემდეგ, თუ ეს არ მოხდა ეტაპობრივად და არ დაიბეგრა დივიდენდები, ბიუჯეტი დაკარგავს ამ ფულს, რაც საკმაოდ უარყოფითი ფაქტი იქნება. მოგების გადასახადის ასე ერთი ხელის მოსმით გაუქმება არ შეიძლება. შეიძლება მოგების გადასახადისგან გაათავისუფლო პირი ერთი ან ორი წელიწადი, სანამ ის მოიკრებს ძალას. ზოგადად, ამ გადასახადის მოხსნა ბიუჯეტს შეუქმნის დიდ პრობლემას და ეკონომიკაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს. ზოგიერთი ფირმა ისეთ მაღალ მარჟაზე მუშაობს და იმხელა მოგებას იღებს, რომ იქიდან გადასახადი აუცილებლად უნდა შევიდეს ბიუჯეტში. მეორე ნაწილისთვის „ნებისმიერი გადასახადის გაუქმება ბიზნესს ანიჭებს თავისუფლებას, აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება ბიზნესისთვის საკმაოდ კარგი იქნება. ცუდი არის ის, რომ მოგების გადასახადის გაუქმება ბიუჯეტზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მოკლევადიან პერიოდში, მანამდე, სანამ მოხდება სხვა ტიპის გადასახადიდან მოხდება, გაუქმებული მოგების გადასახადის კომპენსაცია. დივიდენდის დაბეგვრით რას მივიღებთ, ეს ცოტა რთული სათქმელია, მაგრამ ბიუჯეტის მიერ დაკარგული თანხის ნაწილს იგი აუცილებლად გაუწევს კომპენსირებას. ბიზნესს მოგების გადასახადის გაუქმება რა თქმა უნდა დადებითად წაადგება, შეიქმნება მეტი საწარმოო სუბიექტები. მათ შორის ისინიც, რომლებიც ძირითადად მოგებაზე იმუშავებენ. დღესდღეობით ბიზნესი ცდილობს, რომ შეამციროს მოგება, რათა თავიდან აიცილოს დაბეგვრა, ამ გადასახადის გაუქმების შემდეგ კი ეს ბარიერი აღარ ექნება ბიზნესს და მაქსიმალურ მოგებას განახორციელებენ მეწარმეები. „მოგების გადასახადის გაუქმება იქნება ძალიან კარგი გადაწყვეტილება, ეს ხელს შეუწყობს ბიზნესის აქტივობას. მოგების გადასახადთან ერთად ალბათ გაუქმდება საავანსო გადახდებიც და ეს კიდევ უფრო წაადგება ბიზნესს. მოგების გადასახადის ტვირთი გადავა დივიდენდზე. დღეს, ჯამური გადასახადის ტვირთი შეადგენს 15%-ს. ამ გადაწყვეტილების შემდგომ, დივიდენდი, რასაც წაიღებს მეწარმე, სავარაუდოდ, დაიბეგრება 20%- იანი განაკვეთით, რასაც საწარმოში

დატოვებს, ის არ დაიბეგრება არაფრით. ეტაპობრივ გაუქმებას რაც შეეხება, ეს არ ვიცი როგორ შეიძლება მოხდეს. ჩემი აზრით, თუ რაიმე გადაწყვეტილებას იღებ, ეს უნდა გააკეთო ერთბაშად და არა ნაწილ-ნაწილ. რაც შეეხება ბიუჯეტს, მას გარკვეული თანხა მოაკლდება, მაგრამ 64 არა მთლიანად, რადგან ადამიანებს დივიდენდი მიაქვთ სახლში. ჩემი აზრით, ამ გადასახადის გაუქმება მოხდება საშემოსავლო გადასახადის გაზრდის ხარჯზე. ამ მოდელის მიხედვით საწარმოები არ იხდიან მოგების გადასახადს და პარტნიორები და აქციონერები როდესაც იღებენ დივიდენდს, იბეგრება სწორედ ეს დივიდენდი. აქედან გამომდინარე, მოგების გადასახადის ნაცვლად ხდება დივიდენდის დაბეგვრა. ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება სწორი და მისაღებია, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს საწარმოებისა და წარმოების ზრდას ქვეყანაში. საწარმომ რომელმაც იცის, რომ ის მოგების გადასახადს არ იხდის დაინტერესებული იქნება, რომ დიდი ოდენობის რეინვესტირება განახორციელოს და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბეგრება საწარმოს მეპაიე ან აქციონერი, თუ მიიღებს დივიდენდს. ეს მოდელი საწარმოო სექტორის გაძლიერებაზეა ორიენტირებული და ხელს უწყობს, ერთის მხრივ რეინვესტირების განხორციელებას და მეორეს მხრივ, თავად საწარმოო პროცესის მდგრადობას. როგორც ცნობილია, მოგების გადასახადის წილი ბიუჯეტში შეადგენდა 900 მილიონ ლარს. ამ 900 მილიონი ლარის ერთბაშად ამოღება ბიუჯეტიდან იქნება საკმაოდ რთული პროცესი, ამიტომ კარგი იქნება თუ რაიმე გარდამავალი ეტაპი დაწესდება, რომელიც გაითვალისწინებს მოგების გადასახადის არა ერთბაშად გაუქმებას, არამედ გაუქმებას გარკვეული ბიჯების საფუძველზე. მაგალითად, მის ყოველწლიურად შემცირებას 5%-ით და ამავდროულად, დივიდენდის დაბეგვრის განაკვეთის ყოველწლიურად გაზრდას. ეს მოდელი გარკვეულ გადაანგარიშებებს საჭიროებს. თუ სახელმწიფო აქცენტს გააკეთებს საგადასახადო გარემოს განვითარებაზე და ბიზნესისთვის უფრო კომფორტული საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის შექმნაზე, ეს ყველაფერი იქნება ძალიან სწორი. ამასთან ყოველთვის დეკლარაციის ჩაბარება საკმაოდ შრომატევადი იქნება პატარა კომპანიებისთვის იმიტომ, რომ ერთი დეკლარაციის ნაცვლად 65 მოუწევთ 12 დეკლარაციის წარდგენა. პატარა კომპანიებს გარკვეულწილად ურთულდებათ საქმიანობა, რადგან მოუწევთ ბუღალტრის დაქირავება, რომელსაც უფრო

მეტი საქმე დაეკისრება. ისედაც შეზღუდული ხარჯების პირობებში მათ მეტი თანხის გამოყოფა მოუწევთ კვალიფიციური ბუღალტერისთვის.

ესტონეთში დანაკარგის კომპენსაცია სახელმწიფო მოსაკრებლებისა და აქციზის გაზრდით მოხდა. საქართველომაც ეს გზა აირჩია და 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებები სათამაშო ბიზნესზე, ავტომობილების იმპორტზე, ბენზინსა და თამბაქოზე აქციზის გადასახადის გაზრდასაც გულისხმობს.

რატომ გაზარდა მთავრობამ აქციზის გადასახადი და არა სხვა გადასახადები? ეს ორმა გარემოებამ განაპირობა: 1. "საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" მთავრობას საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების (გარდა აქციზისა) ზრდას და ახალი გადასახადის შემოღებას უკრძალავს, თუ ამას რეფერენდუმის გზით არ გააკეთებს. შესაბამისად, რადგან ეს კანონი გამონაკლისს უშვებს აქციზზე, მთავრობამ გამონაკლისით ისარგებლა. საქართველოში არსებული გადასახადებიდან საერთო-სახელმწიფოებრივი არ არის მხოლოდ ქონების გადასახადი და 2017 წლიდან ქონების გადასახადიც გაიზარდა. ოჯახს თუ წლიური შემოსავალი 40 ათას ლარზე მეტი აქვს, ქონების გადასახადს ავტომობილზეც გადაიხდის; 2. აქციზის გადასახადი ძირითადად დაწესებულია ისეთ პროდუქტებზე, რომლებზეც მოთხოვნა არაელასტიკურია. ეს ნიშნავს, რომ აქციზური საქონელი მომხმარებლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს და თუ მნიშვნელოვნად არ გაუძვირეს, მოხმარებას არ მოუკლებს ან ნაკლებად მოუკლებს. სწორედ ასეთი საქონელია საწვავი, ავტომობილი და სიგარეტი (რადგან მწეველს უჭირს მოწევაზე უარის თქმა). რადგან მოსახლეობა გაძვირებული პროდუქციის შეძენას ისევ ძველებურად გააგრძელებს (ან ნაკლებად შეამცირებს), მთავრობის შემოსავალი აქციზის გადასახადიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება. აქციზური საქონლის არაელასტიკურობა იმაზეც მიუთითებს, რომ გადასახადის ზრდა აქციზური პროდუქციის იმპორტს საგრძნობლად არ შეამცირებს (თუ პარალელურად მოსახლეობის შემოსავლებიც არ შემცირდა) და ლარის კურსზე პოზიტიური ეფექტი მინიმალური იქნება.²⁴

²⁴თბილისი 2017; ბესო ნამჩავაძე; გადასახადის ზრდის ნამდვილი მიზეზი; <http://forbes.ge/news/1828/gadasaxadis-zrdis-namdvili-mizezi>

3.2 მოგების გადასახადის რეფორმის შედეგები

2017 წლამდე მოგების გადასახადს სტაბილური წილი ეჭირა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, და მისი პროცენტული წილი, ბოლო წლების მონაცემებით საშუალოდ 11%-ს შეადგენდა

მოგების გადასახადის წილი მთლიან გადასახადებში (2008-2016წწ)									
2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
13%	12%	13%	14%	13%	13%	12%	14%	13%	11%

ცხრილი 3.2.1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოგების გადასახადის წილი მთლიან გადასახადებში

2017 წელი საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციებით დაიწყო. ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებელმა იანვარში 5,2%, თებერვალში 4,4%, ხოლო მარტში 5,3% შეადგინა. 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 5% შეადგინა.

2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მოგების გადასახადიდან დაგეგმილი იყო 206 000 000 ლარის მობილიზება. შემოსავალმა შეადგინა 259 184 000 ლარი, რაც დაგეგმილზე 53 184 000 ლარით მეტია, ანუ 25,8% ით მეტი.

მიმოვიხილოთ თუ როგორ შეიცვალა გადასახადების დინამიკა 2017 წლის რეფორმის შედეგად წინა წლებთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულია 2016-2017 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის სგადასახადო შემოსავლების პროგნოზირებული და ფაქტობრივი მაჩვენებლები რის შედეგადაც დაანგარიშებულია შესრულების პროცენტული მაჩვენებელი²⁵


2016 წელი			2017 წელი		
გეგმა	ფაქტი	შესრულება	გეგმა	ფაქტი	შესრულება

²⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. <https://www.mof.ge/>

სულ							
გადასახადები	7980000	7986750,3	100,10%	8980000	6426000	6637402,1	103,30%
მათ შორის:							
საშემოსავლო	2086000	1978136,4	94,80%	2570000	1940000	1916474,6	98,80%
მოგების	980000	1055936,5	107,70%	740000	571000	617588,1	108,20%
დღგ	3802000	3286393,4	86,40%	4020000	2703000	3012049,8	111,40%
აქციზი	1012000	1069658,1	105,70%	1435000	1199000	1047088,5	87,30%
იმპორტის	75000	70040,6	93,40%	65000	56000	51311,5	91,60%
სხვა	25000	526585,3	2106,30%	150000	-43000	-7110,4	16,50%

ცხრილი 3.2.2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (ათას ლარებში)

როგორც ვხედავთ მოგების გადასახადის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა გადააჭარბა გეგმიურს. 2017 წლის საერთო საგადასახადო შემოსავლების გეგმა 993 249,7 ათასი ლარით აღემატება 2016 წლის ფაქტიურ საერთო საგადასახადო შემოსავლებს და ამასთან, 2017 წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით იგივე მაჩვენებელი 103,3 %-ით არის შესრულებული, ამდენად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ესტონური მოდელის შემოღებას არ გამოუწვევია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შემცირება.



გრაფიკი 3.2.1 მოგების გადასახადის დინამიკა 2009-2017 წლებში.


საბოლოო ანგარიშით სახელმწიფო შემოსულობები ბიუჯეტში მოგების გადასახადის სახით შემცირდა 299,4 ათასით 2017 წელს 2016 წელთან შედარებით. მოგების გადასახადის წილი მთლიან გადასახადებში 2016 წელს შეადგენდა 12% ხოლო 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 3%. ხოლო რაც შეეხება ცვლილებას ნაერთი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 2016 წელს მოგების გადასახადის წილი იყო 11% ხოლო ეს მაჩვენებელი 2017 წელს შეადგენდა 7%-ს.²⁶

რაც შეეხება აქციზის გადასახადს, შემოსავლების დინამიკა 2009-2017 წლებში იყო შემდეგი

მლნ. ლარი

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
აქციზი	443.194	560.766	615.169	659.606	722.2	810.2	870.7	1069.6	1450.9

ცხრილი 3.2.3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. აქციზის გადასახადის წილი მთლიან გადასახადებში



გრაფიკი 3.2.2. აქციზის გადასახადის დინამიკა 2009-2017 წლებში (ათასი ლარი)

რაც შეეხება აქციზის გადასახადს, მისგან ბიუჯეტში შესული თანხა 2017 წელს გაიზარდა 381,2 ათასი ლარით 2016 წელთან შედარებით. 2016 წელს იგი შეადგენდა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 12% ხოლო 2017 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3%-ით.

²⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. <http://www.geostat>.

საბოლოო ანგარიშით 2017 წელს მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად ბიუჯეტის შემოსავალმა გეგმურზე მაღალი მაჩვენებელი შეადგინა.

სრული სურათის დასანახად განვიხილოთ 2017-2018 წლების შედეგები წინა წლებთან შედარებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფისკალური და საპროგნოზო მაჩვენებლებით მოგების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში წლების მიხედვით შემდეგია:


გადასახადები (მლნ ლარებში)	
2015 ფ	8,010.90
2016 ფ	8,786.10
2017 ფ	9,778.90
2018 მ	10,500.00
2019 პ	11,280.00
2020 პ	12,132.00
2021 პ	13,000.00
2022 პ	14,000.00

ცხრილი 3.2.5. სახელმწიფო ბიუჯეტში შესული გადასახადების დინამიკა (ფისკალური/საპროგნოზო)

გადასახადების სახეების წილი მთლიან გადასახადებში 2014-2018 წლებში.

	2014	2015	2016	2017	2018
საშემოსავლო გადასახადი	26%	27%	25%	28%	30%
მოგების გადასახადი	12%	14%	13%	8%	8%
დღგ	48%	46%	41%	46%	46%
აქციზი	12%	12%	13%	16%	15%
იმპორტის გადასახადი	1%	1%	1%	1%	1%
ქონებაზე გადასახადი	0%	0%	0%	0%	0%

სხვა არაკლასიფიცირებული 0% 0% 7% 1% 1%
 გადასახადები



გრაფიკი 3.2.3. საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2014-2018 წლებში.

2018 წელს ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავლების მობილიზება 903.8 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის შესაბამის პერიოდს, რაც 8.3 პროცენტს შეადგენს. ხოლო წლის გეგმიური მაჩვენებელი შესრულდა 101.0 პროცენტით და გადაჭარბებამ 122.7 მლნ ლარი შეადგინა. შემოსავლების გადაჭარბებით მიღებული დამატებითი შემოსავალი სრულად დანაზოგებში წავა და მიმართული იქნება დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნებაზე, ფისკალური ბუფერების გაძლიერებასა და დეფიციტის შემცირებაზე.

2018 წელს დაბრუნდა 521 მლნ ლარის დღგ-ს ზედმეტობა, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია და 200 მლნ-ით აღემატება წინა წლების მაჩვენებელს.

2018 წელს ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 10 506.3 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.4 პროცენტით (727.4 მლნ ლარი) მეტია.

2018 წლის გადასახადების დაგეგმილი მაჩვენებელი 10 500.0 მილიონ ლარს შეადგენს. ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 0.1 პროცენტით მეტია, რაც 6.3 მლნ ლარს შეადგენს.

2017 წელს დაწყებული მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების ტენდენცია 2018 წელსაც შენარჩუნდა: 2018 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 11.9 პროცენტი შეადგინა, მეორე კვარტალში - 8.8 პროცენტი, მესამე კვარტალში დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი 0.2 პროცენტზე, რაც ისტორიულად საუკეთესო მაჩვენებელია, ხოლო მეოთხე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 10.9 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 7.7 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნული გაუმჯობესება გამოწვეულია მომსახურების ბალანსის დადებითი სალდოს მნიშვნელოვანი ზრდით.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში დეფიციტის გაუმჯობესება გამოწვეულია დანაზოგების ზრდით, რასაც ხელი შეუწყო 2017 წლიდან ამოქმედებულმა მოგების გადასახადის რეფორმამ. რეფორმის ფარგლებში, რეინვესტირებული მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადით დაბეგვრისგან.


მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად საქართველო მეტად მიმზიდველი გახდა ინვესტიციებისათვის.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, რაც სტაბილურად მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტის გარშემოა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია ინვესტიციები, რის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება. 2018 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 345 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მთლიან შიდა პროდუქტთან 8.2 პროცენტია. მეოთხე კვარტალში კი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 197 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, 2018 წელს განხორციელებული

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,232 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო პერიოდში განხორციელებულ ინვესტიციებზე ნაკლებია.

2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა მაღალი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტირების მაღალი დონის შენარჩუნებისა და სამუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა. რეინვესტირების მზარდი ტემპი მოგების გადასახადის რეფორმას, ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება.

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	6.1	6.8	4.6	5.6	8.5	9.6	8.1	10.8	5.5
წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეინვესტირების გარეშე	5.2	5	4.4	4.6	8	9.7	6.9	8.1	3.8
რეინვესტირებული შემოსავალი	0.9	1.8	0.2	1	0.5	-0.1	1.2	2.7	1.7



გრაფიკი 3.2.4 წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (%-ად მშპ-სთან)

3.3 კვლევის ტექნიკური ანალიზი

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა 2017 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული რეფორმის-მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შედეგები და კერძო სექტორის დამოკიდებულება საკითხისადმი.

კითხვარის საშუალებით შესაძლებლობა მოგვეცა, ერთმანეთს შეგვედარებინა თეორიული ასპექტები და რეალურად, ფირმებში მომხდარი ცვლილებები.

კვლევის პროცესში წამოიჭრა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად შევიმუშავეთ სხვადასხვა რეკომენდაცია, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, რადგან მისი განხორციელება მნიშვნელოვან დადებით ეფექტს მოიტანს. ამავდროულად, პროცესში მოხდა თანხვედრა რეფორმის მოსალოდნელ შედეგებსა და რეალურად განხორციელებულ ცვლილებებზე.

მოცემული კითხვარი შედგება ათი კითხვისგან. აღსანიშნავია, რომ გამოიკითხა 52 რესპოდენტი, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსურ სექტორს. რაც შეეხება დემოგრაფიულ მახასიათებლებს, გამოკითხულთა 61.54% -ს უკავია ბუღალტრისა და მთავარი ბუღალტრის თანამდებობა გადასახადის გადამხდელ კომპანიაში.

გამოკითხულთა 55.77% არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 44.23% მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

ასაკობრივი გადანაწილება გამოკითხულთა შორის შედეგია: 25 წლამდე გამოკითხული რესპოდენტის წილი შეადგენს 15.38%-ს; 25 დან - 35 წლამდე -28.85%; 35 -დან 55 წლამდე - 44.23%; 55 წელი და მეტი კი 11.54%

რესპოდენტთა 80% ზე მეტს კომპანიაში უჭირავს მთავარი ბუღალტრის ან მენეჯერის პოზიცია. აღნიშნული გამოცდილება, გვადლევს შესაძლებლობას, დავეყრდნოთ მათ კომპეტენტურ პასუხებებს და შედეგები მასზე დაყრდნობით გამოვიტანოთ.

ლიტერატურის მიმოხილვამ და საკითხის ღრმად კვლევამ გამოავლინა საკითხები, რომელზეც იქნა ყურადღება გამახვილებული განხორციელებულ კვლევაში. ძირითადი

საკვლევი საკითხი იყო, თუ რამდენად უმარტივდებათ კომპანიებს ახალ საგადასახადო რეფორმაზე გადასვლა, რამდენად მზად შეხვდნენ ამ ცვლილებებს და რა მოლოდინები აქვთ აღნიშნულ რეფორმასთან დაკავშირებით.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 30.77% არის საბითუმო და საცალო ვაჭრობის წარმომადგენელი; 25.00% არის სასტუმროები და რესტორნების ბიზნესში დასაქმებული; 23.08% -მომსახურების სფეროში; 15.38% - სოფლის მეურნეობა, მონადირეობა, მეტყევეობა, თევზჭერა მშენებლობა; 3.85%- გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება; 1.92% - სამთო-მომპოვებელი მრეწველობა; დამამუშავებელი მრეწველობა წარმოება


რესპოდენტთა საქმიანობის სფერო მეტად მნიშვნელოვანს ხდის კვლევის შედეგს, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში დარგის მოწინავე სფეროებს სწორედ ეს სექტორები ინაწილებს, ეს ცხადყოფს კვლევის რეალურ სურათთან მიახლოებით მაჩვენებელს.

3.4. კვლევის შედეგების ანალიზი

არსებულ საკითხთან დაკავშირებით, ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, ჩამოვყალიბე ექვსი კითხვისგან არსებული კითხვარი, რომელის ძირითადი მიზანი იყო გაანალიზება იმისა, თუ რამდენად უმარტივდებათ ახალ მოდელზე გადასვლა

კომპანიებს და რა მოლოდინები აქვთ რეფორმისგან და რამდენად დადებითად აისახა იგი კომპანიის ზრდა-განვითარებაზე

ერთ ერთი მთავარი შეკითხვა იყო ის თუ რამდენად ადვილი იყო ახალი მოგების გადასახადის მოდელზე გადასვლის პროცესი. (შეფასება 10 ბალიანი შკალის მიხედვით; 1- ძალიან მარტივი; 10- ძალიან რთული). გასათვალისწინებელია ისიც რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი უშუალოდ შეხებაშია ახალ მოდელთან (ბუღალტრები და მთავარი ბუღალტრები)




მოცემული დიაგრამების ანალიზი, ცალსახად ცხადყოფს, რომ ახალ მოდელზე გადასვლა არ აღმოჩნდა მარტივი ფინანსური სფეროს წარმომადგენელთათვის და ამავდროულად, ისინი ფიქრობენ, რომ ეს რეფორმა არ არის მარტივი, თუმცა უმრავლესობა მაინც საშუალოდ აფასებს.

აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვან დაკვირვებას მოითხოვს და აუცილებელია შედეგების გაანალიზება, რომ მასზე დაყრდნობით შემუშავდეს რეკომენდაციები. ცხადია, რომ საფინანსო სფეროს უდიდესი ნაწილისათვის რთული აღმოჩნდა ახალ მოდელზე გადასვლა, შესაბამისად, სირთულის დასამლევად აუცილებელია სახელმწიფოს ან კერძო სექტორის მხრიდან გამოიყოს სახსრები, რომ ჩატარდეს კვალიფიცირებული კადრის გადამზადება და დატრენინგება. თუმცა იმის გათვალისწინებითაც რეფორმის შედეგად

მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტი, მთვრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ხარჯების შემცირება უნდა იყოს უშუალოდ მთავრობის მხრიდანაც დაფინანსდა ტრენინგები. თუ გადავხედავთ წინა წლის კვლევის შედეგებს რომელიც ანალოგიურ თემაზე ჩატარდა წელს ფინანსური სექტორიდან უფრო დიდი კმაყოფილება იგრძნობა და მათი რიცხვი ვინც რეფორმას რთულად აფასებს შემცირებულია. ბუღალტრთა დიდ ნაწილს რეფორმამ დამატებითი დროის დათმობა მოსთხოვა, რადგან დღეს ისინი დეკლარაციას აბარებენ არა 1 ხელ წელიწადში არამედ 12ჯერ რაც მეტად შრომატევადია თუმცა 2 წლის განმავლობაში უნდა აღინიშნოს ადაპტაციის დადებითი შედეგი და დღეს ამ მხრივ უკმაყოფილოთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება.

რაც შეეხება იმას თუ რა გავლენა იქონია კომპანიებზე აღნიშნულმა რეფორმამ გამოვიკვლიე თუ რა მოცულობით ხდებოდა ძველი მოდელის მიხედვით წმინდა მოგების განაწილება დივიდენდების სახით.




თუ გადავხედავთ კვლევის ობიექტს, 46% არ ანაწილებდა დივიდენდებს რაც ცალსახად მიუნიშნებს იმას რომ ამ კომპანიებისათვის რეფორმას უნდა ჰქონოდა დადებითი შედეგი იმის გათვალისწინებით რომ გაუნაწილებელი მოგების პროცენტი ძველი მოდელით გადასახადებში მიდიოდა ხოლო დღეს შესაძლებლობა აქვთ კომპანიაში რეინვესტირების.

აღნიშნული რეფორმის გატარების შემდეგ გამოვითავისუფლდათ თუ არა დამატებითი ფინანსური სახსრები

კითხვაზე გამოვითავისუფლდათ თუ არა ფირმებს დამატებითი ფინანსური სახსრები

დიახ, 1-50 000 ლარამდე - 56.1% ; დიახ, 50 000-200 000 ლარამდე 36.54%; დიახ, 200 000-500 000 ლარამდე - 5.77%



მოცემული ანალიზი გვამჩნევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ რეფორმის დადებით ეფექტზე. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის შეიქმნა დამატებითი ფულადი სახსრები და ფინანსური რესურსი შეიქმნა.

აღნიშნული სტატისტიკით რეფორმის შედეგად გამოკითხულთა უმეტესობას (90% ზე მეტს) გაუჩნდა დამატებითი ფინანსური სახსრები. რეფორმას მიუხედავად კომპანიების გაურკვევლობისა და სირთულისა რაც ახალ სისტემაზე გადასვლას ახლავს, დადებითი გავლენა ჰქონდა კომპანიის ფინანსურ რესურსებზე.

საინტერესოა, რა მიმართულებით განახორციელეს გამოვითავისუფლებული სახსრების მართვა. გამოკითხულთა 80% მა მოახდინა კომპანიაში რეინვესტირება.

თუ შევადარებთ რეფორმამდელ და რეფორმის შემდეგ განხორციელებულ ქმედებებს მოგების განაწილებასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეფორმა ძლიერი მოტივატორი აღმოჩნდა კომპანიებისთვის განხორციელონ რეინვესტირება.

ესტონური მოდელის დანერგვა დადებით გავლენას ახდენს კომპანიაში დასაქმებაზე, კაპიტალის ნაკადებსა და გააქტიურებს საინვესტიციო აქტივობას.

დანართი 1. გამოკითხვა²⁷

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შედეგები

მოცემული კითხვარი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი პროექტის ნაწილს.

კვლევის მიზანი: 2017 წელს ინიცირებული ახალი მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის გავლენის შეფასება ბიზნეს სექტორზე.

* Required

1. თქვენ მიერ დაკავებული თანამდებობა

გადასახადის გადამხდელ კომპანიაში *

2. ასაკი *

Mark only one oval.

25 დან - 35 წლამდე

35 -დან 55 წლამდე

55 და მეტი

25 წლამდე

Other: _____

3. სქესი *

Mark only one oval.

მამრობითი

მდედრობითი

4. კომპანიის საქმიანობის სფერო *

Check all that apply.

²⁷ https://docs.google.com/forms/d/1qQaQXKekSXzbqZ4w0_tgY-so8V2x1mSIC1iOWkDgMNc/edit

- გადაზიდვები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კომუნიკაციები
- სხვა ზოგადი, სოციალური და პერსონალური მომსახურება
- სამთო-მომპოვებელი მრეწველობა; დამმუშავებელი მრეწველობა
- წარმოება
- მომსახურება
- სასტუმროები და რესტორნები
- სოფლის მეურნეობა, მონადირეობა, მეტყევეობა, თევზჭერა
- მშენებლობა
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა

5. რამდენად ადვილი იყო ახალი მოგების გადასახადის მოდელზე გადასვლის პროცესი (შეფასება 10 ბალიანი შკალის მიხედვით; 1- ძალიან მარტივი; 10- ძალიან რთული). *

Mark only one oval.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>

6. რა მოცულობით ხდებოდა ძველი მოდელის მიხედვით წმინდა მოგების განაწილება დივიდენდების სახით.

Mark only one oval.

- არ ვანაწილებდით დივიდენდების სახით
- დივიდენდების სახით ვანაწილებდით მოგების 1-30%
- დივიდენდების სახით ვანაწილებდით მოგების 30-50%
- დივიდენდების სახით ვანაწილებდით მოგების 50-70%
- დივიდენდების სახით ვანაწილებდით 70% ზე მეტ მოგებას

7. აღნიშნული რეფორმის გატარების შემდეგ გამოთავისუფლდათ თუ არა დამატებითი ფინანსური სახსრები *

Check all that apply.

- დიახ, 1-50 000 ლარამდე
- დიახ, 50 000-200 000 ლარამდე
- დიახ, 200 000-500 000 ლარამდე
- დიახ, 500 000 ლარზე მეტი
- არა - რეფორმას არ ქონია გავლენა ფინანსურ სახსრებზე
- არა - შემცირდა

8. რა მიმართულებით გამოიყენეთ გამოთავისუფლებული ფინანსური სახსრები *

Check all that apply.

- მოვხდინეთ კომპანიაში რეინვესტირება,
- დაიხარჯა ადამიანური რესურსების ზრდა-განვითარებაზე
- Other:

9. როგორ შეაფასებდით ახალი მოგების გადასახადის მოდელის გავლენას თქვენს კომპანიაზე (შეფასება 10 ბალიანი შკალის მიხედვით; 1- უარყოფითი; 10-დადებითი). *

Mark only one oval.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>

10. თქვენი შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნულ საგადასახადო რეფორმაზე

დასკვნები და წინადადებები

მოგების გადასახადის რეფორმის უმთავრესი მიზანია ინვესტიციების სტიმულირება კომპანიებში და ზოგადად, ქვეყანაში ბიზნეს აქტივობების გაძლიერება.

ბიზნესში ინვესტირება აუმჯობესებს მწარმოებლურობას და ხელს უწყობს წარმოების ზრდას, რაც იწვევს ბაზარზე საწარმოს კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. ინვესტირების მაღალი დონე ხელს უწყობს ბიზნესის გაფართოებას, დამფუძნებელთა შემოსავლებისა და დასაქმებულთა დონის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, აფართოვებს საგადასახადო ბაზას. ბიზნესში ინვესტირების სტიმულირებას ძალზედ მნიშვნელოვანი წილი შეაქვს მთლიან შიდა პროდუქტის ზრდაში.

ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ გადასახადების შემცირების შედეგად იზრდება დასაბეგრი ბაზა და საგადასახადო შემოსავლები, რაც ბევრად აღემატება გადასახადების შემცირებამდე მიღებულ შემოსულობებს.

მოგების გადასახადის ლიბერალიზაცია სტიმულს აძლევს კომპანიებს, მოახდინონ მათი მოგების უკან ჩაბრუნება, ნაცვლად მისი განაწილებისა. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ორიენტაციას ბიზნესის ზრდაზე, რაც საბოლოო ანგარიშით მიგვიყვანს ეკონომიკური აქტივობის ზრდამდე. ეს დადებითად აისახება ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, ინვესტიციები, უმუშევრობის დონე და სხვა.

საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია პოზიტიურად განაწილებს ინვესტორებს. ამჟამად, საქართველოში არ არის განვითარებული მაღალტექნოლოგიური საექსპორტო დარგები, უარყოფითია სავაჭრო ბალანსიც, ამას ემატება არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. ყველა ამ მიზეზის გათვალისწინებით ინვესტიციების მოზიდვა საკმაოდ რთულია. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ინვესტორებისთვის მიმზიდველი რეფორმის გატარება, სწორედ ამას ემსახურება მოგების გადასახადის ესტონური მოდელის ანალოგის განხორციელება საქართველოში.

ბიზნესის მფლობელთათვის მიმზიდველია შერბილებული საგადასახადო რეჟიმი, რაც უზიძგებს მათ დამატებითი ინვესტიციების განხორციელებისკენ.

რეფორმის შედეგად ცვლილებები შევა სახელმწიფო ბიუჯეტშიც. თავდაპირველად, როგორც ფაქტები ადასტურებს მოხდა მისი შემცირება, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ზემოთაღნიშნული ფაქტორების გავლენით მოხდება მისი ზრდის ტენდენციის მიღწევა.

სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები უნდა შევიდეს და მისი შემცირება მოხდეს არა მომდევნო, არამედ მომავალი ორი-სამი წლისთვის. რთულია იმის თქმა, თუ რამდენი წელი დასჭირდება საქართველოში საგადასახადო შემოსავლების კვლავ ზრდას რეფორმის შემდეგ პერიოდში გამომდინარე ესტონეთთან შედარებით საქართველოს ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოდან.

გასათვალისწინებელია ბიზნეს სექტორის რეაქცია აღნიშნულ რეფორმაზე და ის თუ რამდენად საჭიროდ თვლიან ისინი რეინვესტირებას საკუთარ კომპანიებში და არჩევენ თუ არა ბიზნესის მფლობელები საქართველოს მსგავს არცთუ ისე სტაბილურ გარემოში რეინვესტირებას, ვიდრე კუთვნილი დივიდენდების მიღებას.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ყოველთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბიზნესისთვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მისი სწორად რეგულირება, რომ შეიქმნას დაბეგვრის ისეთი ბაზა, რომელიც სარგებელს მოუტანს მოსახლეობას, ბიზნესსა და სახელმწიფოს. ლიბერალური საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ასპექტით.

მოგების გადასახადის რეფორმა ასტიმულირებს კომპანიებს განახორციელონ რეინვესტირება, რაც ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გახდება.

საბოლოოდ, შედეგები ცხადყოფს, რომ ესტონური კორპორაციული გადასახადის რეფორმის ეფექტი საქართველოსთვის დადებითია. იგი ხელს უწყობს და ასტიმულირებს ეკონომიკის ზრდას. შეიძლება ვთქვათ, რომ ესტონური მოდელზე დამყარებული რეფორმის განხორციელება ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმია. აღნიშნულ დადებით ეფექტებთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ის რისკ ფაქტორები,

რომელიც თან ახლავს რეფორმის განხორციელებას, ისეთი გარე ფაქტორების მატება, როგორცაა გაურკვეველობა და ინსტიტუციონალური არასტაბილუობა, შეაფერხებს რეფორმისგან დადებით ეფექტს.

მოგების გადასახადის რეფორმის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დადებითად აისახება ისეთ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე როგორცაა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მთლიანი შიდა პროდუქტი, სავაჭრო სალდო, უმუშევრობის დონე და სხვა მრავალი. გამომდინარე იქედან, რომ რეფორმა ხელს შეუწყობს კომპანიებს განახორციელონ რეინვესტირება, ზრდის წარმოებას, რაც შესაბამისად ზრდის მოთხოვნას სამუშაო კადრისადმი, შედეგად ვიღებთ გაზრდილი წარმოებით გაზრდილ დასაბეგრ ბაზას. ამავდროულად, სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორი სტაბილურად გაზრდა და ქვეყნის საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რაც ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სტაბილურ სიტუაციაზე და მხოლოდ გადასახადების შემცირებით ეს პრობლემა ვერ მოგვარდება.

ესტონეთისა და საქართველოს ფირმების განაწილება, სექტორებისა და ზომის მიხედვით, აჩვენებს იმ მკვეთრ განსხვავებას, რაც რეფორმამდელ ესტონეთსა და დღევანდელ საქართველოს შორისაა. თუმცა ეს განსხვავება ვერ იქნება რეფორმისგან მისაღები დადებით ეფექტის შემაფერხებელი ფაქტორი, პირიქით რეფორმის შედეგად გრძელვადიან პერიოდში რეინვესტირებისა და წარმოების ზრდა უნდა ვივარაუდოთ.

საქართველოსა და ესტონეთს შორის ყველაზე მკვეთრი განსხვავება დემოკრატიისა და ინსტიტუციონალურ მაჩვენებლებს შორისაა, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება შემაშფოთებელიცაა. გამომდინარე იქედან, რომ 2000 წლის ესტონეთის მონაცემები დარდება 2013 წლის საქართველოს მონაცემებს, 13 წლიანი განსხვავების მიუხედავად საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება ესტონეთს დემოკრატიის მაჩვენებლით. ასევე საგრძნობი განსხვავებაა კორუფციის ინდექსში. სხვადასხვა მონაცემების შედარება შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ მნიშვნელოვანი განსხვავება კერძო საკუთრების კუთხით

საქართველოსა და ესტონეთს შორის. ეს ცვლადები ქვეყნის რისკის პრემიის განსაზღვრისას უმთავრესია. თუმცა, ეს განსხვავება ესტონური მოდელის განხორციელების შედეგს არ შეასუსტებს საქართველოში და მისგან მიღებული დადებითი ეფექტი უფრო თვალსაჩინო იქნება, გამომდინარე იქედან, რომ გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმება საკუთრების დაცვისა და დემოკრატიის დაბალი დონით გამოწვეულ შეზღუდვებს შეარბილებს. მრავალი თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკა უფრო ელასტიურია და ახალ პირობებთან შეგუების კარგი უნარი აქვს, რადგან ბიზნესის, შრომისა და მონეტარული თავისუფლების დონე დღესდღეობით საქართველოში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ეს იყო რეფორმამდელ ესტონეთში.

ესტონური მოდელი საქართველოსთვის მრავალი კუთხით ეფექტის მომტანია. ამაზე თანხმდებიან ექსპერტებიც, რადგან მოდელი ორიენტირებულია ეკონომიკის ზრდაზე და გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. მომგებიან კომპანიებს რეფორმის შემდეგ შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ თანხების აკუმულირება და მათი ლიკვიდურობის გაზრდა, გაზრდილი ფინანსური სახსრებით კი შესაძლებლობა აქვთ მოახდინონ რეინვესტირება.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა ის ხარვეზები რაც მოგების გადასახადის განხორციელებამ გამოიწვია. პირველი უმთავრესი ეს არის ფირმების მოუმზადებლობა და რეფორმასთან შეგუების სირთულე. მოსალონელი რეფორმის შესახებ ინფორმაციის გასაცნობად ერთ წელზე მეტი დრო ჰქონდათ კომპანიებს, თუმცა რეფორმას კერძო სექტორი მაინც მოუმზადებელი შეხვდა და დღემდე გაურკვეველობა და დაბნეულობა შეინიშნება. აუცილებელია სახელმწიფო ჩაერიოს და ორგანიზაციებს მისცეს მითითება დაატრენინგოს თანამშრომლები. გამომდინარე იქედან, რომ რეფორმის შედეგად მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტი, მთავრობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო ხარჯების მინიმალიზაცია. სწორედ ამიტომ, რეფორმის შედეგად მიღებული გაურკვეველობა კერძო სექტორმა თავის თავზე უნდა აიღოს.

აღნიშნული სირთულის მიუხედავად, რეფორმამ უკვე შექმნა დამატებითი სახსრები ორგანიზაციებში, რომელთა ნაწილი რეინვესტირდება და რამდენიმე წლის შემდეგ გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამომდინარე იქედან, რომ მოგების გადასახადის რეფორმა მნიშვნელოვნად ამცირებს სახელწიფო ბიუჯეტს აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მაკომპენსირებელი გადაწყვეტილებების მიღება. მართალია, რამდენიმე წლის განმავლობაში ფინანსური სექტორი ვერ ისარგებლებს აღნიშნული რეფორმით, თუმცა ვფიქრობთ, მათ რიცხვს უნდა დაემატოს ფარმაცევტული სფერო, მონოპოლიური კომპანიები და ინდუსტრიები, რომლებიც საწვავისა თუ თამბაქოს იმპორტს ანხორციელებს, სანამ რეინვესტირებული კაპიტალი არ შექმნის დამატებით დოვლათს.

ესტონური მოდელი შეიძლება ჩავთვალოთ სწორ დროს მიღებულ საჭირო გადაწყვეტილებად. რეფორმისგან მოსალოდნელი დადებითი ეფექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა მხოლოდ ერთი რეფორმა ეკონომიკას ვერ ააყვავებს, აუცილებელია სხვა, კონკრეტულად საქართველოზე მორგებული რეფორმების შემუშავება, რადგან ესტონეთშიც საგადასახადო რეფორმის წარმატებას წინ უძღოდა მრავალი სხვა ცვლილება. ქვეყანაში სწორი საგადასახადო რეფორმა და ამავდროულად სწორი ინსტიტუციონალური ცვლილებები ეკონომიკის სტაბილურად განვითარების საწინდარი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. გრიგოლია მ. რეგულირების გავლენის ანალიზი (RIA) საქართველოში: გაუნაწილებელი. მოგების გადასახადის რეფორმა; PMC კვლევითი ცენტრი. https://idfi.ge/public/upload/Meri/Tako%20Iakobidze/november_8_ppd_workshop_idfi_pmcg_presentation.pdf თბ., 2016
2. ესტონეთის სტატისტიკის ოფისი
3. იმედაშვილი, გ., საგადასახადო საქმე, სალექციო კურსი, თბილისი, 2014
4. კილასონია შ., „მოგების გადასახადის რეფორმა. მიტები და სინამდვილე“, 2016, <http://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdville>
5. ნამჩავაძე ბ.; გადასახადის ზრდის ნამდვილი მიზეზი; <http://forbes.ge/news/1828/gadasaxadis-zrdis-namdvili-mizezi> თბ., 2017;
6. ნაწუაშვილი ნ., მოგების გადასახადის რეფორმა – ესტონური გაკვეთილი საქართველოსათვის, Forbes Georgia, 2015, <http://forbes.ge/news/904/estonuri-gakveTilisakarTvelosaTvis>
7. საქართველოს კანონი; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54) შეტანილი ცვლილებები <https://matsne.gov.ge/ka/document/view/328831712.10.2010>,
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2019
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. <http://www.geostat>.
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. <https://www.mof.ge/>
11. ფუტკარაძე ს., პაპასქუა, ი., მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი: (კითხვები, მოსაზრებები და წინადადებები განსჯისთვის), 2016, <http://iverioni.com.ge/print:page,1,15987-ekonomikis-ganvitharebis-realuri-perspeqtiva-thu-mizans-acdenili-transformacia.html>
12. Hazak, Aaro. "Companies' Financial Decisions Under the Distributed Corporate Income Taxation Regime of Estonia." *Emerging Markets Finance & Trade* 45, no. 4 (July-August 2009): 4-12.
13. Kane Tim, Kim R 2007 “Strategic Advantage: Challengers, Competitors, and Threats”
14. Masso J., J. Meriküll, and P. Vahter, “Gross profit taxation versus distributed profit taxation and firm performance: effects of Estonia’s corporate income tax reform,” The University of Tartu Faculty of Economics and Business Administration, Working Paper No. 81-2011, p. 33, March 2011.

15. Masso, J., Merkul, J., Vahter. P., "Shift from gross Corporate Income Taxation to distributed Corporate Income Taxation: Are there effects on firms?" Journal of Comparative Economics 41 (2013): 1092-1105.
16. Raudonen, Svetlana. "Do Corporate Taxation and Bilateral Tax Treaties Promote Foreign Investments into Estonian Manufacturing Sector?" Eesti Majandusteaduse Seltsi aastakonverentsi ettekanded, January 2010.
17. USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assesment on Estonian CIT Mdel Implementation in Georgia, Tbilisi, 2016
18. გადმოკითხვა:https://docs.google.com/forms/d/1qQaQXKekSXzbqZ4w0_tgYso8V2x1mSlC1iOWkDgMNC/edit